მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი (სივანი) №6 (466) (5780) 2020

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

29-30 მაისი – შავუოთი – 3332 წლის წინათ სინაის მთაზე ღვთისეულ მცნებათა მიღების დღესასწაული.

ბ ე ხ უ კ ო თ ა ი

3. თუ ივლით ჩემი წესდებით და დაიცავთ ჩემს მცნებებს და აღასრულებთ მათ,

4. თავის დროზე მოგცემთ წვიმებს და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხე გამოსცემს თავის ნაყოფს.

5. თქვენთან კალოობა რთველს დაეწევა და რთველი დაეწევა თესვას, თქვენს პურს შეჭამთ მაძღრისად, თქვენს ქვეყანაში იცხოვრებთ მშვიდად.

6. ქვეყანაში დავამყარებ მშვიდობას: დაწვებით და შემშფოთებელი არ გეყოლებათ. ქვეყნიდან განვდევნი მძვინვარე მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაში.

7. დაედევნებით თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე.

8. ასს განდევნის ხუთი თქვენგანი და ასი თქვენგანი ათი ათასს. მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე.

9. მოვიხედავ თქვენკენ და მოგაშენებთ, გაგამრავლებთ და აღვასრულებ ჩემს აღთქმას თქვენთან.

10. შეჭამთ ძველისძველს და ახლის წინაშე გამოიტანთ ძველს.

11. ჩემს სავანეს თქვენს წიაღში დავიდებ და არ შეგიზიზღებთ ჩემი სული თქვენ.

12. ვივლი თქვენს შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი, თქვენ კი ჩემი ხალხი იქნებით.

13. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანეთ, რათა არ ყოფილიყავით იქ მონებად: დავამსხვრიე თქვენი უღლის ძვლები და შემართულნი წამოგიყვანეთ.

14. თუ არ მომისმენთ და არ აღასრულებთ მთელ ამ მცნებებს,

15. თუ ჩემს წესებს შეიზიზღებთ, თუ ჩემს სამართალს შეიძულებს თქვენი სული, რათა არ აღასრულოთ მთელი ჩემი მცნებანი და დაარღვევთ ჩემს აღთქმას,

16. მაშინ ამას ვიქმ თქვენთან: მოგივლენთ თქვენ თავზარს, ჭლექსა და ციებ-ცხელებას, თვალთა მიბნედილობას და სულის შეღონებას. ამაოდ დათესავთ თქვენს თესლს, რამეთუ თქვენი მტრები შეჭამენ მას.

17. მოვიბრუნებ ჩემს სახეს თქვენკენ და განიგმირებით თქვენს მტერთა წინაშე და თქვენი მოძულენი იბატონებენ თქვენზე: გაიქცევით, თუმც მდევნელი არ გეყოლებათ.

18. და თუ მაინც არ მომისმენთ, შვიდგზის მოგიმატებთ სასჯელს თქვენი ცოდვებისათვის.

19. შევმუსრავ თქვენი ძლევამოსილების ამპარტავნობას, რკინად ვაქცევ თქვენს ცას და თქვენს მიწას — სპილენძად.

20. ფუჭად გამოილევა თქვენი ძალა, არ მოგცემთ თქვენ მიწა თავის მოსავალს და ქვეყნის ხეხილი აღარ გამოსცემს თავის ნაყოფს.

21. თუ ჯიბრით ივლით ჩემთან და არ ინებებთ ჩემს მოსმენას, შვიდგზის მოგიმატებთ თქვენ მუსვრას თქვენი ცოდვებისათვის.

22. მოგისევთ გარეულ მხეცებს და შვილმოკლულად გარდაგაქცევენ: გაგიწყვეტენ პირუტყვს, თქვენც შეგამცირებენ და გაუკაცრიელდება თქვენი გზები.

ებრაული ენიდან თარგმნა **შალომ დავიდმა (დავითაშვილმა)**

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

აშშ პრეზიდენტის ახალი ინიციატივა

დონალდ ტრამპმა გაავრცელა საგანგებო მიმართვა ახალი ინიციატივის თაობაზე. მიმართვაში საუბარია იმაზე, თუ რა როლი შეასრულა ებრაულმა თემმა აშშ ცხოვრებაში და მაისის თვე ამერიკის ებრაული მემკვიდრეობის თვედ გამოაცხადა. საიტ JNS მოჰყავს ციტატა მიმართვის ტექსტიდან:

— ამ თვეში ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, ჩვენს ვალდებულებას არასოდეს საფრთხის ქვეშ არ დავაყენოთ ებრაული თემისადმი ჩვენი მხარდაჭერა, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ არ ვღებულობთ ანტისემიტიზმს და ზიზღით შევცქერით ებრალობისადმი სიძულვილს.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ებრაელი ახალმოსახლენი ამერიკის კონტინენტზე პირველად 1654 წელს გამოჩნდნენ. ამ მიწაზე ისინი თავისუფლების ძიებამ და თავიანთი რწმენისადმი შეუნელებელი სამსახურის სურვილმა მოიყვანა. გასული საუკუნეების განმავლობაში ებრაელებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აშშ კულტურის, ჩვენი ქვეყნის ხასიათის ჩამოყალიბებაში.

— ხელოვნება, მეცნიერება, ბიზნესი, სახელმწიფო-სამთავრობო სტრუქტურები — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველი სფერო, დავალებულია ამერიკელ ებრაელთა ტალანტით, შთაგონებული შრომით, გამოცდილებით, გამომგონებლობით და მსხვერპლის გაღებით.

ებრაელი ხალხი მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ავლენდა შეურყეველ ნებისყოფას, სძლევდა ტანჯვა-ვაებას მკაცრ აკრძალვებს, ძალადობასა და ფანატიზმს. სამწუხაროდ, დღეს ებრაელი ბავშვები, ქალები და მამაკაცები კვლავაც აწყდებიან ანტისემიტიზმს, დისკრიმინაციას, დევნასა და ძალადობას. ებრაელთა დაწესებულებანი, სინაგოგები კი ვანდალიზმისა და ნგრევის ობიექტები ხდებიან.

მიმართვაში ხაზგასმითაა გაცხადებული, რომ ანტისემიტიზმი დაუშვებელია და ამერიკის საზოგადოებრიობაში მას არ უნდა ჰქონდესო ადგილი: „ამიტომ ჩვენ მედგრად უნდა შევებრძოლოთ ებრაული თემის წევრების მიმართ ანტისემიტიზმს, დისკრიმინაციასა და ძალადობას“.

ისრაელის ფანტასტიური პროექტი



ამჟამად ისრაელში მუშავდება პროექტი Menorah Islands. ეს გახლავთ ხმელთაშუა ზღვაში შეჭრილი მენორას ფორმის ხელოვნურად შექმნილი კუნძულები. ამ ამბიციური პროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს კუნძულები მეცნიერებისა და ეთნიკური ტოლერანტობის ტერიტორიად იქცევა და ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების დამთავრებას.

ისრაელი პაწია ქვეყანაა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ვიწრო სახმელეთო ზოლში — რომელსაც გუშ დანს ეძახიან. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში საბინაო მშენებლობა ერთობ ინტენსიურად მიმდინარეობს, და გარემოსაც აზიანებს — ახალი გზების, საცხოვრებელი უბნების მშენებლობა არასასურველ გავლენას ახდენს გარემოზე, ფლორასა და ფაუნაზე, საბინაო პრობლემა მაინც მწვავედ დგას.

Menorah Islands-ის წარმატებით გასრულების შემდეგ, ისრაელში შეიქმნება შვიდი ხელოვნური კუნძული, რომელიც ერთმანეთს ხიდებით დაუკავშირდება. ამ კუნძულებზე აშენდება საცხოვრებელი კომპლექსები, ბაღჩა-ბაღები, მაღაზიები, უმაღლესი სასწავლებლების კორპუსები.

„მენორას“ ორივე მხარეს, როგორც მარცხნივ, ასევე მარჯვნივ, შეიქმნება კიდევ ორი კუნძული, რომელიც წყლიდან წელინადში რამდენიმეჯერ „ამოვა“.

ავსტრიის პრეზიდენტის განცხადება

მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლების 75 წლისთავთან დაკავშირებით, ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ალექსანდრე ვან დერ ბელენმა გამოაქვეყნა თავისი ვიდეომიმართვა, რომელშიც ამბობს, რომ საუკუნის სამი მეოთხედი დიდი დროა, მაგრამ ავსტრიისათვის ფაშიზმის ბოროტმოქმედებანი „კვლავაც მოუშუშებელი ჭრილობაა“

— მაუტჰაუზენი ზეციდან არ ჩამოფრენილა. ჰოლოკოსტი უმკაცრესი საბოლოო წერტილი გახლდათ, როცა ანტისემიტიზმმა და რასიზმმა თავისი მახინჯი სახე აჩვენა, მთელ ქვეყანაში დუმილი გამეფდა. ბევრი ავსტრიელი ბოროტმოქმედი გახდა. ავსტრია აღიარებს თავის მონაწილეობას ნაციონალ-სოციალიზმის დანაშაულებებში.

პირველად ხასიდიზმის ისტორიაში

ხასიდიზმის წარმომადგენელი ებრაელი მიტჩელ (მოშე) შელკი პირველად დაინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ. მაისის დამდეგს აშშ სენატმა მიტჩელ (მოშე) შელკი ერთხმად დაამტკიცა ამ თანამდებობაზე. იგი ხელმძღვანელობას გაუწევს საერთაშორისო ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, მსოფლიოს საფინანსო ბაზრებთან და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობას.

მ.შელკმა ჯერ კიდევ ყმაწვილობის ასაკში ჩინებულად შეისწავლა ჩინური ენის ორი დიალექტი — სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჩინურ რესტორანში, პროფესიით იურისტი — სამართალმცოდნე, ავტორია ჩინეთის სავაჭრო პრაქტიკაზე დაწერილი რამდენიმე წიგნისა.

„ხსოვნის სანთელთან“

მეორე მსოფლიო ომში ნაციზმთან გამარჯვეების 75 წლისთავთან დაკავშირებით ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა და ისრაელში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ანატოლი ვიქტოროვმა იერუსალიმში „ხსოვნის სანთელი“ გვირგვინით შეამკეს.

მონუმენტის გვირგვინით შემკობის ცერემონიალში მონაწილეობდნენ ისრაელის იერუსალიმის საქმეთა და გარემოს დაცვის მინისტრი ზეევ ელკინი, ბლოკადა გამოვლილთა გაერთიანების თავმჯდომარე ემილია ლარინა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა გაერთიანების თავმჯდომარე აბრამ გრინზაიდი და სხვ.

ძეგლის გვირგვინით შემკობისას მიხეილ მირილაშვილმა თქვა:

— დღეს დიდი გამარჯვების 75-ე წლისთავზე, ჩვენ განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენეთ ყველას, ვინც გამარჯვებისათვის თავი არ დაზოგა.

ვირტუალური ბიბლიოთეკა

ევრაზიის ებრაელთა კონგრესმა გამომცემლობა „შამირთან“ ერთად ხელმისაწვდომი გახადა ამ გამომცემლობის მიერ გამოცემული მსოფლიო მნიშვნელობის ებრაული ლიტერატურის საგანძური — ეს გამომცემლობა ხომ ათწლეულების განმავლობაში სცემს უიშვიათესსა და რჩეულ ლიტერატურას. საკმარისია შეხვიდეთ კონგრესის მიერ საგანგებოდ შექმნილ საიტზე იბ.ეაჯც.ორგ და შესაძლებლობა გეძლევათ, უამრავ წიგნს უფასოდ გაეცნოთ.

გამომცემლობა „შამირი“ცნობილია იმით, რომ ებრაულ კლასიკურ ტექსტებს დიდებული თარგმანებით სთავაზობს მკითხველს. გამომცემლობამ ეს ჩინებული საქმიანობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. „შამირის“ მიერ გამოცემული ლიტერტატურა სწორედ ამ წლებში შემოვიდა საბჭოეთში. ეს იყო წიგნები ებრაელი ხალხის ისტორიაზე, ტრადიციაზე, რელიგიაზე, ასევე ებრაული კლასიკური ლიტერატურა. დღეს ამ წიგნთა უმეტესობა იშვიათობას წარმოადგენს.

ეაე კონგრესის მიერ შექმნილი ვირტუალური ბიბლიოთეკა თანდათან შეივსება. უნდა ვივარაუდოთ, რომ „შამირის“ მაგალითს სხვა გამომცემლობებიც მიბაძავენ.

ლაგ ბა ომერი პანდემიისას

ისრაელში ლაგ ბა ომერი ყოველთვის აღინიშნება, როგორც ფასახსა და შავუოთს შორის ერთობ სასიამოვნო დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია რაბი აკივას სახელთან — მთელს ისრაელში გიზგიზებს ჭიაკოკონები, რომლის გარშემოც ახალგაზრდები ხალისობენ. წელს კი პანდემიის გამო ლაგ ბა ომერი ერთობ მოკრძალებულად აღინიშნა — მერონის მთაზე შიმონ ბარ იოხაის საფლავთან, შეიკრიბა არა ათასობით ახალგაზრდა, როგორც სხვა წლებში, არამედ ფრიად შეზღუდული — მხოლოდ 50 ადამიანს მიეცა საშვი. ჭიაკოკონა კი მხოლოდ სამი უნდა იყოსო.

მრავალ ლაგ ბა ომერს, მეგობრებო!

დავით იაკობაშვილის ინიციატივა

TACC-ი ავრცელებს ინფორმაციას ქართველ ებრაელ ბიზმესმენ დავით იაკობაშვილსა და მის პარტნიორ — იან იანოვსკიზე: დ. იაკობაშვილმა და ი. იანოვსკიმ თავს იდეს ვალდებულება დახმარება აღმოუჩინონ რუსეთში შესულ იმ შრომით მიგრანტებს, რომლებიც კორონა ვირუსის პერიოდში ფინანსურად დაზარალდნენ.

საქმე იმაშია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე შესული შრომითი მიგრანტები, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: არიან დაუსაქმებელნი, არა აქვთ სამედიცინო დაზღვევა, მოკლებულნი არიან ნათესავ-ახლობლების ყურადღებას და აღარც საარსებო პირობები გააჩნიათ. დ.იაკობაშვილისა და ი. იანოვსკის საქველმოქმედო კომპანია „დახმარება არის!“ კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან შესულ შრომით მიგრანტებს, საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფს.

ამასთან დაკავშირებით ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მიხეილ მირილაშვილმა განაცხადა:

— უძველესი ებრაეული სენტენციაა „დახმარების ხელი გაუწოდე ხიზანს“, ამასთანავე საყოველთაოდ ცნობილია მოსაზრება, რომ მეგობარი გასაჭირში იცნობა, დღეს, ამ რთულ ვითარებაში, ყველაფერი ეს ძლიერ აქტუალურია.

გავუფრთხილდეთ საკუთარ თავსა და ერთმანეთს!

27-ე წევრი

მიმდინარე წლის განმავლობაში ევრაზიის ებრაელთა კონგრესს კიდევ ერთი სახელმწიფოს ებრაული თემი შეუერთდა — კონგრესის წევრი გახდა ფილიპინების ებრაელთ თემი.ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცა ფილიპინის ებრაელთა თემის ხელმძღვანელის ლი ბლიუმენტალის მოღვაწეობას.

მილოცვები

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა, დოქტორმა მიხეილ მირილაშვილმა ჩერნიგორიის პრეზიდენტს მულო ჟუკანოვიჩსა და პრემიერ-მინისტრ დუშკო მარკოვიჩს მიულოცა ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე. მიხ. მირილაშვილის წერილში ხაზგასმულია ჩერნიგორიის პრეზიდენტის მილო ჟუკანოვიჩის ბრძოლა ანტისემიტიზმის წინააღმდეგ, ასევე წარმოჩენილია პრეზიდენტის მისწრაფება ტოლერანტობისაკენ.

მთავარ რაბინს

გაზეთმა „комерсант“ გამოაქვეყნა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის მილოცვა რუსეთის მთავარი რაბინის ბერლ ლაზარის დაბადების დღისადმი. პრეზიდენტი აღნიშნავს, მთავარი რაბინის როლს რუსეთის ებრაელობის სულიერ ცხოვრებაში და მას მისაბაძად მიიჩნევს ყოველი სულიერი ლიდერისათვის.

ისრაელის უშიშროების სამსახურის მესვეური იცხაკ ილანი — ავთანდილ წიწუაშვილი:

დიახ, ეს ოპერაცია მე დავგეგმე და აღვასრულე კიდეც-

„არიან დამიანები, რომლებმაც დიდხანს უნდა იცოცხლონ მხოლოდ იმიტომ, რომ უიმათოდ ხალხი კარგად ვერ იქნება“, უთქვამს ბრძენკაცს.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: რამდენადაც დიდია ადამიანი პიროვნულად, ყოფაში მით უფრო უბრალო და თავმდაბალია. ჩვენი ამჟამინდელი რესპოდენტი გახლავთ ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის — „შაბაქის“უფროსის მოადგილე, კონტრდაზვერვის ვეტერანი, ტერორიზმის საგამომძიებო დეპარტამენტის უფროსი, იცხაკ ილანი.

იცხაკ ილანი თანამედროვე ისრაელის ცხოვრებაში იმითაც გახლავთ გამორჩეული, რომ თავისი საზრიანი, დაკვირვებული შრომით მრავალი ტერაქტი ააცილა სახელმწიფოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა — ძალიან ბევრ ისრაელელს აარიდა ტერორისტის მზაკვრული ზრახვა.

და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი: იცხაკ ილანის მეთაურობით უამრავმა ტერორისტმა მიიღო ის, რასაც ადამიანთა სისხლისმღვრელნი იმსახურებენ — ზოგი გაუვნებელყოფილი იქნა, ზოგი ისრაელის საპყრობილეებშია, ზოგიც გადმოიბირეს და ტერორთან მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

სურამელი ავთანდილ წიწუაშვილი, დღეს კი იცხაკ ილონი დიდებული წინაპრების შთამომავალია. იგი სიამაყით მიამბობს სახელოვანი პაპების თაობაზე, სიამოვნებს იმაზე საუბარი, თუ „ვისი გორისაა“. ქარელელ პაპას — აჰარონ წიწუაშვილს — მამის მხრიდან, ცოლად შეურთავს ცხინვალელი, პირმშვენიერი მალქა კრიხელი. იცხაკის დედის მამა , ცხინვალელი ხახამ გაბრიელ დავარაშვილი, სურამელ ნაომი ჯანაშვილზე დაქორწინებულა. აწგანსვენებულ რაბი გაბრიელს, იუდაიკაში კლასიკური განათლება ლიტვაში დიდ ხაიმ ჰალევი სოლოვეიჩიკთან მიუღია — საქართველოში დაბრუნებისთანავე სურამში მთავარ რაბინად გაუგზავნიათ. გარდა იმისა, რომ ჯამაათის სულიერი მეთაური გახლდათ, შოხეტისა და მოელის ფუნქციებსაც ასრულებდა, ატარებდა საქორწინო და სამგლოვიარო ცერემონიებსა და რიტუალებს. მისი ძმა — მოშე ჰაკატანი, ქუთაისის რაბინი გახლდათ. კიდევ ერთი ძმა, იაკობ დავარაშვილი, 70–იან წლებში საქართველოს მთავრი რაბინი იყო, მათი ძმა — მიხაელი 100 წლის წინათ, 1920–ში დასახლებულა იერუსალიმში.

პატარა ავთო (ასე ეძახდნენ მას სკოლაში), სურამის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. წარჩინებული მოსწავლე, საუკეთესოდ გახლდათ მომზადებული და თბილისის კომაროვის სახ. ფიზიკა–მათემატიკის ნიჭიერთა ათწლედში ჩაირიცხა. თავისი სიბეჯითისა და მიზანსწრაფულობის წყალობით, თანატოლებს აქაც უსწრებდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და იმავე ზაფხულს — 1973 წელს, 17 წლის ჭაბუკი ოჯახთან ერთად ამოვიდა ისრაელში. საქართველოში გატარებულ ბავშვობას იგონებს, როგორც უღრუბლოსა და ლაღს. მეტად ცნობისმოყვარე ბაჭუნა ყოფილა. ასაკისთვის შეუფერებელი საკითხები აინტერესებდა, რისთვისაც თურმე პაპა „ჩეკისტს“ ეძახდა. მაშინ კარგად არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა და სწყინდა კიდეც. პაპის შერქმეულისახელი გარკვეულწილად, წინასწარმეტყველურიც გამოდგა.

იმთავითვე უყვარდა დეტექტივების კითხვა. კონან დიოლის — შერლოკ ჰოლმსი რვა წლის ასკში ლამის ზეპირად იცოდა. მომავალში თავის თავს მხოლოდ გამომძიებლად ხედავდა.

ლია კრიხელი: ***ბატონო იცხაკ, მიამბეთ გეთაყვა, თქვენი ალიისა და აბსორბციის შესახებ — რა იყო ყველაზე რთული დასაძლევი?***

იცხაკ ილანი: ამოვედით ქიფურის ომის დაწყებამდე თვენახევრით ადრე. ხახამ გაბრიელის მთელი დიდი ოჯახით, ექვსი შვილითა და შვილიშვილებით, დავსახლდით იერუსალიმში, ნევე იაკობის უბანში. სამი ოჯახი ერთ ეზოში ვცხოვრობდით. დავიწყე ივრითის სწავლა. არ გამჭირვებია, ორ თვეში უკვე ვლაპარაკობდი, მაგრამ რთულად ის მიმაჩნდა, რომ უფრო მალე მინდოდა ისრაელელი გავმხდარიყავი, რისთვისაც მარტო ენის ცოდნა არ კმაროდა. მათემატიკისა და ფიზიკის გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და ჩავირიცხე იერუსალიმის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე.

ლ. კ: რამ განაპირობა ის გზა, რასაც თქვენ დაადექით, გარემომ, ქვეყნის მდგომარეობამ, თუ სისხლის ყივილი და პატრიოტიზმი ეთქმის?

ი.ი: იმისავის, რომ თავი სრულფასოვან მოქალაქედ მეგრძნო, მივატოვე სწავლა და ჯარში წავედი. ოფიცრობა მეწადა, მაგრამ იქ ენის ცოდნის სხვა დონე მომეთხოვებოდა. ფარნის შუქზე სწვალაში ღამეებს ვათენებდი, და დავძლიე — შევძელი სამხედრო პირისათვის მოთხოვნილების შესაბამისად მესწავლა. შეუძლებელია იმ სიხარულის აღწერა, როცა თავად საჰაერო თავდაცვის გენერალმა, დავიდ ივრიმ მომანიჭა ეს წოდება. როცა ჩემი გვარი წარმოსთქვა: „ იცხაკ წიწუაშვილი“, დასძინა „შენი წარმომავლობა არ შეარცხვინოო“. სახეზე ბედნიერების ღიმილი მომეფინა და სწორედ ეს კადრია აღბეჭდილი სურათზე, რომელიც საჰაერო ძალების ჟურნალში — „ბიტონ ხეილ ჰაავირ“ გამოქვეყნდა. უკვე ოფიცე — რი, ჯარში, ვადაზე მეტს ვმსახურობდი. სამხედრო ვალმოხდილს მეწადა უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა, მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი რამ — არ ვიცი, რა ვუწოდო: შემთხვევითობა, თუ კანონზომიერება. დამირეკეს უშიშროების სამინისტროდან და შეხვედრა მთხოვეს. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი, გადამწყვეტიც კი აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში — მთლიანად შეცვალა ჩემი გეგმები. მკითხეს, ვიცი, თუ არა რუსული ენა, წამაკითხეს და მათარგმნინეს ტექსტი, ჩემი ბიოგრაფია რუსულად მომაყოლეს და როცა დარწმუნდნენ, რომ ვიცოდი, გამომიცხადეს, შესაძლებელია „შაბაქში“, ანუ ისრაელის უშიშროების სისტემაში — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრდაზვერვის განყოფილებაში მიგიღოთ სამუშაოდო. რაღა თქმა უნდა, სიხარულით გამოვუცხადე თანხმობა, მაგრამ საბოლოო პასუხს რვა თვე ველოდი, ის შეხვედრა თითქმის გადამავიწყდა კიდეც. ასე რომ , დავიწყე მუშაობა იქ, სად მოხვედრასაც ბევრი სამხედრო პირი იოცნებებდა. მოგვიანებით შევიტყე, რომ იმ პერიოდში ეძებდნენ რუსულის მცოდნე რეპატრიანტს, ისიც არანაკლებ ათი ნლის ჩამოსული უნდა ყოფილიყო. მე არ შევეფერებოდი ამ კრიტერიუმს, მაგრამ გამონაკლისი დაუშვეს სხვა პრიორეტიტების გამო.

ლ. კ: მაშინ წიწუაშვილი ვიყავიო. როცა გვარი შეიცვალეთ, რა მნიშვნელობა ჩადეთ ამ სიტყვაში, რომელიც ასე ლამაზად ჟღერს.

ი. ი: სამხედრო სამსახურისას ჩემი პოლკის მეთაურმა მითხრა: „შენი გვარის წარმოთქმაზე, ლამის ენა მოვიტეხო, რა იქნება, გვარი რომ შეიცვალო და ყველას გაგვიადვილო?“. მამას შევეკითხები-მეთქი, ვუპასუხე. მამაჩემმა თანხმობა განმიცხადა. დავიწყე შერჩევა სათანადო გვარისა, რომ შინაარსითაც ახლოს ყოფილიყო ორიგინალთან. ივრითზე ორნა–ირად გამოითქმება: ეც–არის ხე, ილან არის მსხმოიარე, ნაყოფის მომცემი ხე.

ლ. კ: მართლაც შესანიშნავია! თქვენი სამხედრო ცხოვრებიდან, წარმატებულად რომელ ოპერაციას მიიჩნევდით. თუ შეგიძლიოათ რამდენიმე შემთხვევა დაასახელეთ.





ი.ი: სპეცსამასახურების მუშაობა მეტწილად გასაიდუმლოებულია. აქედან გამომდინარე, ბევრი რამის მოყოლა არ შემიძლია. თუცა, ის, რაც ძალიან გახმაურდა და ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, გეტყვით: მე ვიყავი ამ ოპერაციის დამგეგმავიცა და ორგანიზატორიც. საქმე ეხება არხიტერორისტის, იხია აიაშის ლიკვიდირებას. მას ბევრი ებრაელის სისხლით ჰქონდა ხელები დასვრილი. მისი სახელი მსოფლიოში იყო ცნობილი და ეს ოპერაცია ამიტომ იწოდება უნიკალურად. კარგად შევისწავლეთ იახია აიაშის ცხოვრების წესი: იგი არსად არ დადიოდა, ამიტომ მისი ადგილსამყოფელის მიგნება, ძალიან ძნელი იყო. დავადგინეთ, რომ სისტემატიურად ელაპარაკებოდა მამას. ჩვენ მოვახერხეთ მის ხელში მოხვედრილიყო მობილური ტელეფონი, რომელშიც მინი ყუმბარა იყო ჩამონტაჟებული. ტელეფონი მაშინ აფეთქდა, როცა მამას ელაპარაკებოდა. ჩვენი ჩანაფიქრი უტყუარი აღმოჩნდა.

სამხედრო მოსამსახურის „მომთაბარეობა“ არ ახალია, ძველია. მე დამნიშნეს „. შაბაქის“ სამარიის რეგიონის უფროსად. დაწინაურების ეს ფაქტი ჯერ კიდე გათვითცნობიერებული არ მქონდა, თუ რა სიმაღლეს მივაღწიე, რომ დაიწყო მეორე ინტიფადა (პალესტინური რევოლუცია). სამწელიწადნახევარი სახლსა და ოჯახს მოწყვეტილს, დღისა და ღამის შეგრძნებაც აღარ მქონდა , ისეთ რიტმში მიწევდა ბრძოლა ტერორისტებთან, რამეთუ მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა , როგორც რეგიონის უფროსს. არ შემიძლია, არ ავღნიშნო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ჩემი კარიერული ზრდისა: მე დამნიშნეს ისრაელის უშიშროების სააგენტოს საგამომმძიებო განყოფილების უფროსად. როცა სიტ–ყვით გამოვედი, ვთქვი, რომ ვერ წარმოვიდგენდი, თუ პაპის შერქმეული სახელი, „ჩეკისტი“ ასე გამართლდებოდა მეთქი. დროებით ამას დავჯერდეთ, მეტის გამჟღავნების უფლება არა მაქვს, დანარჩენი დროს მივანდოთ, ამაზე ისტორია იტყვის.

ლ. კ: ***ისრაელი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა მსოფლიოში. როგორ შეაფასებდით სპეცსამსახურების როლს ქვეყნის გაძლიერებისა და განვითარებისა საქმეში?***

ი. ი: ამ მხრივ სპეცსამსახურებმა მეტად წონადი, მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულეს. „მოსადი“ და „შაბაქი“ ყველფერს აკეთებენ ქვეყნის უსფრთხოებისთვის, ამ ორგანიზაციების როლის გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება. მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა ჰქონდეს სიმშვიდე, როგორც ეს შესაძლებელია ახლო აღმოსავლეთში მომძლავრებული ტერორიზმის პირობებში. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ როცა მეორე ინტიფადა ბოლომდე მივიყვანეთ და ამ ურთულეს ბრძოლაში გავიმარჯვეთ, უდიდესი ფინანასური კომპანიების ხელმძღვანელებმა, „შაბაქის“ მაშინდელ უფროსს, ავი დიხტერს, სიგელი გადასცეს ნიშნად იმისა, რომ ეს კომპანიები ვერაფერს გახდებოდნენ ქვეყნის შიგნით ჩვენი სამსახურების ძალისხმევის გარეშე. ისიც მინდა ავღნიშნო, რომ მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი პირობა, სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებაა. როცა ისრაელში ამოვედი, ამ ქვეყანაში 3.5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ახლა 9 მილიონზე მეტი ვართ. ესეც ხელს უწყობს ქვეყნის აყვავებას, ებრაელების მოზიდვას ისტორიულ სამშობლოში.

ლ. კ: ***ბევრი კითხვა გაქვთ ცხოვრების არსზე, რატომ მოევლინა ადამიანი ამ ქვეყანას და რა არის მისი მთავარი მისია?***

ი. ი: ამგვარ საკითხებზე, საათობით შემიძლია დაპარაკი, რამეთუ ეს ჩემი გატაცებაა, მიყვარს ფილოსოფია. მოკლედ თუ ვიტყვი, ევოლუციურად განვითარებული ადამიანი, ცდილობს დატოვოს შთამომავლობა. სუბლიმაციის წყალობით, ცხოველებისაგან განსხვავებით, ადამიანმა იცის , რომ მისი მომავალი არის სიკვდილი. არისტოტელეს მიხედვით, ადამიანი საზოგადოებაში მცხოვრები ცხოველია და ყოველი ინდივიდუმის მიზანია, საზოგადოება გახადოს უკეთესი, როგორც თვითონ მიაჩნია. იგი უნდა ეცადოს შეიტანოს დადებითი წვლილი, რომ საზოგადოება იყოს მდიდარი, აყვავებული, ჯანმრთელი, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი. ყველა ესწრაფოს თავისი მოღვაწეობის სფეროში მიაღწიოს სრულყოფილებას.

ლ. კ: ***ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყვეს თქვენი უდრეკი ხასიათი. მე ვგულისხმობ თქვენს დაპირიპირებას მთავრობის მეთაურობის კანდიდატთან, ამჟამად ისრაელის თავდაცვის მინისატრთან — ბენი განცთან, არ გიჭირთ თქვენი პრინციპების დაცვა?***

ი. ი: არ მიჭირს ვიყო საკუთარი პრინციპების დამცველი. მე მაქვს წითელი ხაზი, რომელსაც არასდროს არ გადავლახავ. შვილებსაც იმას შთავაგონებ, რომ სარკეში შენ ორეულს თვალი

კარგად უნდა გაუსწორო, უნდა იყო მართალი საკუთარ თავთან. ბენი განცს ვიცნობ ოცი წელია: როცა სამარიის „შაბაქის“ უფროსი გახლდით, ის დანიშნეს ბრიგადის უფროსად. საპარლამენტო არჩევნების წინ ბევრი შეხვედრა და საუბარი გვქონდა და საარჩევნო სიაში 39-ე ადგილზე შემიყვანა, მერე კი მოითხოვა 39-ე ადგილიდან 45-ეზე გადავსულიყავი, მე ეს წინადადება უსამართლოდ მივიჩნიე, რომელსაც არანირი გამართლება არა აქვს. გადავწყვიტე დამეტოვებინა ის პარტია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. არ მიღალატია არავისთვის, არ გადავსულვარ სხვა პარტიაში, თუმცაღა, ამის უამრავი საშუალება მქონდა. ჩემი ხმა არანაირი დიდებისთვის არ გამიყიდია. ბევრმა არ იცის, რომ არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ბენი განცმა ჩემთან შეხვედრა მოითხოვა, მოიხადა დიდი ბოდიში და პატიება მთხოვა. ჩემი პასუხი მარტივი და ურყევი იყო: მე გაპატიებ, მაგრამ ვერ დავივწყებ იმ ზიანს, რაც შენი უღირსი საქციელით მომაყენე-მეთქი.

ლ. კ: ***ბევრი მეგობარი გყავთ? რას აფასებთ ადამიანებში?***

ი. ი: შეიძლება ბევრს გაუკვირდეს კიდეც: დღემდე ვმეგობრობ ჩემ სურამელ კლასელებთან, სამი მათგანი ისრაელშია, ერთი კი კანადაში ცხოვრობს. აქაც სტუდენტობისას ბევრი მეგობარი შევიძინე, მყავს მეგობრები ჯარიდან, პოლიციიდან, სადაც ძალიან ბევრს ვმუშაობდი. არც იურისტები, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები მაკლია. განვაახლე ჩემი კავშირი „ კომაროვის სკოლის“ ამხანაგებთან. ასე, რომ მეგობრებით მდიდარი და ძლიერი ვარ. თუ რას ვაფასებ ადამიანებში, მოგახსენებთ: პირველ რიგში სამართლიანობას, პირიანობას და თავაზიანობას. ჰუმანურობას, სიბრძნესა და პროფესიონალიზმს.

ლ. კ: ***როგორ მიგაჩნიათ, ბედი მართავს ადამიანის ცხოვრებას, თუ ადამიანი მართავს თავის ბედს?***

ი. ი: რთული და საინტერესო შეკითხვაა. როგორ გითხრათ, არც ბედი მართავს ადამიანს და არც ადამიანი თავის ბედს. ორივე ერთმანეთშია ჩაწნულ– ჩაქსოვილი, ხან შენ ხარ საჭესთან, ხანაც მორჩილად მიჰყვები ბედისწერას. ზოგჯერ ადამიანს ეძლევა შანსი და თუ ვერ გამოიყენა, ის ბედად ვერ გადაიქცევა. სხვა განმარტება არა მაქვს, ვერ გამოვყოფ ცალ-ცალკე.

ლ. კ: ***როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ 31 წელი იმსახურეთ „შაბაქში“ და ახლაც საგამომძიებო საქმიანობას ეწევით. რას მეტყვით ამის თაობაზე?***

ი. ი: გამოძიების საქმეში, მართლაც დიდი გამოცდილება მივიღე. „შაბაქი“ ვიდრე ოპერაცას დაგეგმავს, ძირეულად უნდა გამოიძიოს ობიექტი, პროვნებაა, ეს თუ ორგანიზაცია. პოლიციაშიც ამ პროფილით ვმსახურობდი და გადავწყვიტე გამოვიძიო ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც მიმაჩნია, რომ არ იყო პროფესიულ დონეზე ჩატარებული, ან ზერელედ იყო წარმართული. საილუსტრაციოდ რომან ზადოროვის მაგალითიც იკმარებდა. იგი დადანაშაულებულია თაირ რადას მკვლელობაში. ხელახლა გამოვიძიე რა ეს საქმე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ მას არ მოუკლავს რადა. მე ვცდილობ დავუმტკიცო ყველას, რომ ზადოროვის აღიარება არის იძულებითი. ამის მსგავსად ორ–სამ მსჯავრ–დადებულს ვიძიებ, რომელთაც სამუდამო პატიმრობა აქვთ მისჯილი. ამჟამად ვარ გენერალური დირექტორი კომპანიისა ოლდინგ ომპანი . იმავდროულად ვატარებ ლექციებს სხვადასხვა თემაზე. ამასთან ვითავსებ ფირმების დირექტორთა საბჭოს თავმჯდიმარეობასა და წევრობას ისრაელსა და უცხოეთში.

ლ. კ: ***შეიძლება ბოლოსთვის არ უნდა შემოგვენახა თქვენი ოჯახის საკითხი. ივრითზე ლამაზადაა ნათქვამი: „ახარონ, ახარონ ხავივ“ ანუ ნაბოლარა გატკბილდებისო. რას მეტყოდით?***

ი. ი: მყავს სათნო და ერთგული მეუღლე — ლალი (ლეა) მოშიაშვილი, იგი სოხუმიდან 7 წლის ამოვიდა. აღვზარდეთ სამი შვილი: უფროსი ვაჟი, იონათანი დაოჯახებულია, ყავს სამი შვილი. მსახურობს ისრაელის პოლიციაში — კერძოდ სტრატეგიული შტაბის უფროსია მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგისტრატურა დაამთავრა გეოგრაფიასა და გარემოს დაცვის სფეროში. დოქტორატზე მუშაობს თელ–ავივის უნივერსიტეტში. მეამაყება, რომ სულ ახალახან მიიღო წარჩინების სიგელი კორონავირუსთან ბრძოლის მეთოდებში. ქალიშვილი — შარონა, ახალდაქორწინებულია. ბაკალავრიატი დაამთავრა კომუნკაციებისა და მართვის ფაკულტეტზე. პოლიკლინიკების ქსელში „ქლალით“არის პასუხისმგებელი პიარ–მენეჯერი. უმცროსი ვაჟი, გაბრიელი, მსახურობს შორაკის ატომური რეაქტორის ცენტრში გამოთვლითი პროგრამების განყოფილებაში. ჩემი სამი შვილიშვილი, ნამდვილად გვმატებენ სიცოცხლეს.

იცხაკ ილანი ის ადამიანია, რომლის გმირობას წიგნიც რომ მიეძღვნას, უპრიანია. ერთ საგაზეთო სტატიაში ყველაფერს ვერ ჩავტევ, ის კი ვიცი, რომ მისი სახელი ოქროს ასოებით შევა არა მხოლოდ საქართველოს ებრაელთა, არამედ ისრაელის ისტორიაში, როგორც ტერორისტების მეხი და დაუძინებელი მტერი. კაცი, რომელზეც ზედგამოჭრილია გამოთქმა: „ვინც სიმართლეს უხეშად მოეპყრობა, შემდგომში მას სიცრუე დაჯაბნის“.

ლია კრიხელი
ისრაელი, მაისი 2020 წ.

რა ხდებოდა საქართველოს ებრაელობაში 1970 წლის მარტში?

50 წლის წინათ ყველაფერი ეს იყო – ტოტალიტარულმა რეჟიმმა ეს ნეგატიური მემკვიდრეობაც დაგვიტოვა,მაგრამ ქართველი ებრაელობის დიდ ისტორიას, უზენაესის სამსახურისადმი მის ურყევ რწმენას, მაინც ვერაფერი დააკლო – ის დღეები ისტორიას შემორჩა,როგორც ტოტალიტარიზმის კიდევ ერთი დახასიათება. ქართველი ებრაელობა კი იყო და კვლავაც იქნება იმ იდეალების ერთგული,რომელიც სინაის მთასთან შეჰფიცა უზენაესს, ეგ არის, რომ ჩვენს თემში სიტყვიერი ფაღარათით დაავადებული ერთი თავხედი ვინმე, ამ ნეგატივსაც თავისი ბინძური კარიერისტული მიზნებისათვის იყენებს.

ექვსდღიანი ომის შემდეგ საქართველოს ებრაელობამ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი წამოიწყო. ექვსდღიან ომში ძლევამოსილი გამარჯვება ის შუქურა აღმოჩნდა, დიასპორაში მცხოვრებ ებრაელობას გზას რომ უნათებდა და თავისკენ ეძახდა.

1969 წლის 6 აგვისტო არა მხოლოდ ქართველ ებრაელთა ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია, საბჭოთა იმპერიის დასასრულის დასაწყისიც. ქართველმა ებრაელებმა ამ დღეს თანამედროვე ფარაონების – კრემლის მესვეურთა წინაშე – აღმართეს მოშე რაბინუს კვერთხი. სწორედ რომ მოშე რაბინუს კვერთხად მიმაჩნია 18 ქართველი ებრაელის ოჯახის მიერ გაეროში გაგზავნილი წერილი. ამ დღეს ებრაელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ღვთის გზით მავალი, თავისუფალი ერია. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილის ასეთმა ხმაურიანმა განცხადებამ საბჭოთა ხელისუფლებას ლამის წონასწორობა დაუკარგვინა. 1970წ. მარტში მან დაიწყო გააფთრებული ანტისიონისტური პროპაგანდა. კრემლი ცდილობდა სწორედ ებრაელები გამოეყვანა სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. გაზეთებში „პრავდა“, „იზვესტია“ ლამის ყოველდღე იბეჭდებოდა საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის დიდებულ მოღვაწეთა საპროტესტო წერილები. ამ წერილების „ავტორებს“ დიდი იერიში მიჰქონდათ სიონიზმზე, რადგან სწორედ სიონიზმი გახლდათ ის პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელმაც აღადგინა ებრაელი ხალხის სახელმწიფოებრიობა და დღეს სამშობლოსაკენ მოუხმობდა ქვეყნიერების ყოველ კუთხეში მიმოფანტულ შვილებს.

ამუშავდა მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა. კრემლმა, საბჭოთა სპეცსამსახურებმა ამ მანქანის ძარაზე სწორედ დიდებითა და ღირსებით შემკული საბჭოთა ებრაელობა შემოსხა– სახელოვანი მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, ტექნიკის დარგის წარმომადგენლები. მათი ძალისხმევით ცდილობდა სიონიზმის გაკიცხვას და რეპატრიაციის მსურველ ასიათასობით საბჭოთა ებრაელზე ზემოქმედებას.

რასაკვირველია, ებრაელთა საბჭოეთიდან წასვლა კრემლისთვის ძალიან დიდი დარტყმა იყო – არა მხოლოდ ეკონომიკური, მორალურიც, ინტელექტუალურიც, მაგრამ საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი, რაც კრემლის ფარაონთა ბრძოლის ჟინს ამძაფრებდა – სიონიზმის მოსალოდნელი, მოახლოებული გამარჯვება კომუნიზმზე.

სიონიზმისა და ბოლშევიზმის, როგორც ერთმანეთისადმი დაპირის-პირებულ იდეოლოგიათა ფარული ომი, ლამის საუკუნე გაგრძელდა. ექვსდღიანი ომის შემდეგ ბრძოლა ფარული აღარ იყო – ომმა ავანსცენაზე გადმოინაცვლა და აი, რატომ:

ა) საბჭოეთის ებრაელობა ამოძრავდა, ექვსდღიანმა ომმა ებრაელობას ხმა ამოაღებინა და ათქმევინა, რომ საბჭოეთში ცხოვრება აღარ ძალუძდა, ე.ი. ხმალი ქარქაშიდან ამოღებულია.

ბ) 70-იან წლებში საბჭოთა კავშირი ზემძლავრი სახელმწიფო გახლდათ. ეს არ არის გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი ფრაზა: იგი ქვეყნიერებას აზანზარებდა. სსრკ-ს შექმნის სათავეებთან კი ებრაელებიც იდგნენ. სხვას ვის, თუ არა ებრაელობას, უნდა სცოდნოდა, ბოლშევიზმის ბასტიონში, თუ როგორი სისწრაფით იზრდებოდა ბზარი.

ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ კრემლის ფარაონებმაც, ამ ბზარის ნაპრალებს ისინი ყოველდღიურად ხედავდნენ.

სიონიზმმა კი არა მხოლოდ ებრაელი ხალხის სახელმწიფოებრიობა აღადგინა, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის გმირი-გამალ აბდელ ნასერი დაამარცხა,არა მხოლოდ არაბულ სახელმწიფოთა დედაქალაქებს მიადგა დასალაშქრად, საბჭოთა კავშირსაც კი ამოჰკრა ჭიტლაყი. ექვსდღიან ომში ისრაელის გამარჯვება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიერ მეზობელი სახელმწიფოების დამარცხება არ იყო. ეს იყო ორი იდეოლოგიის-- სიონიზმისა და ბოლშევიზმის შერკინება,რაც ბოლშევიზმის კრახის პროლოგი გამოდგა.

თანამედროვეთათვის მზე ერთობ აუჩქარებლად, უშფოთველად ჩადიოდა – მთელი 21 წელიწადი. დღევანდელი გადასახედიდან კი რა არის 21 წელიწადი? ამიტომ მიჰქონდა კრემლს იერიში სიონიზმზე – 60-70-იანის წლების მიჯნაზე ბოლშევიზმისა და სიონიზმის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დასკვნით ფაზაში შევიდა. ომი ამ ფაზაში სწორედ ქართველმა ებრაელებმა გადაიყვანეს. მე გამიჭირდება იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ ეს იყო გაცნობიერებული ქმედება – ისინი არ ებრძოდნენ საბჭოეთს,ამას 18 ქართველი ებრაელის წერილიც ადასტურებს, ისინი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის იბრძოდნენ, იქნებ, არც უწყოდნენ,თუ რას ნიშნავდა ეს კრემლისთვის, კრემლს კი გაცნობიერებული ჰქონდა მათი ქმედებების ფინალი. ამას გვიდასტურებს გაეროს ტრიბუნაზე მდგარი სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის–„მისტერ ნეტ“ის – ა.გრომიკოს გაფითრებული სახე,როცა იგი ამტკიცებდა არც ერთ ებრაელს საბჭოთა სამშობლოს დატოვება არ სურსო, ისრაელის ქნესეთის ტრიბუნაზე კი იდგა სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი და 18 ქართველი ებრაელის წერილს კითხულობდა. ფილმზე „იმ ეშქახეხ,იერუშალაიმ“ მუშაობისას მე მოვიპოვე გოლდა მეირის ქნესეთში გამოსვლის ფირი. ამ წერილის კითხვისას გოლდა მეირის მამაკაცური ხმაც კი თრთოდა. ამ თრთოლვის მიზეზი სწორედ ის იყო,რაც გრომიკოს სახეზე ფერს უკარგავდა–მოშე რაბინუს კვერთხმომარჯვებული ქართველი ებრაელობა.

არ არის მოულოდნელი ის,რომ სიონიზმისა და კომუნიზმის ორთაბრძოლაში კრემლს ძალიან ბევრი ებრაელი მხარდამჭერი ჰყავდა. კრემლის მოხალისე იდეოლოგნი იყვნენ საქართველოშიც. სწორედ საქართველოში დაიწერა: „დღეს, ისე როგორც არასდროს, საჭიროა გაძლიერდეს სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.“ „სიონიზმი ებრაული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური რეაქციული მოძრაობაა.“ **დაიწერა ებრაელი კაცის მიერ, როგორც სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მიიღო სამეცნიერო ხარისხი.**

მხოლოდ ზედაპირულად მოაზროვნე ადამიანმა შეიძლება იფიქროს,რომ კრემლის ფარაონები ბრიყვნი იყვნენ.მათ კარგად იცოდნენ: ამ მოხალისე თანამებრძოლთა ფასი გახვრეტილი შაური იყო. ამიტომ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი და მეტი ღირსეული ებრაელი მეცნიერი, ხელოვანი ექციათ სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილედ.ბრძოლის პროცესში ითრევდნენ ყოველი თაობის,საზოგადოებრიობის ყოველი სფეროს წარმომადგენლებს.

ანტისიონისტური კომპანია მთელ საბჭოეთში მიმდინარეობდა.საქართველოში არანაკლები სიმძაფრით,რადგან კრემლს პირველი ყუმბარა მაინც ქართველმა ებრაელებმა ესროლეს. დღეს რაოდენ ხმამაღლაც არ უნდა ლაპარაკობდნენ ჩვენი უკრაინელი, რუსი, თუ ბელორუსი მეგობრები, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაიწყო რეპატრიაციისათვის ბრძოლაო, ფაქტი ფაქტად რჩება: კრემლის ფარაონების წინაშე მოშე რაბინუს კვერთხი სწორედ ქართველმა ებრაელებმა აღმართეს.

ანტისიონისტური პროპაგანდა ქართულ პრესაშიც მიდიოდა.აქ პირველ ვიოლინოზე სპეცსამსახურებთან ერთად საქართველოს კპ ცკ-ის ლექტორთა ჯგუფის წევრი ებრაელები უკრავდნენ. სპეცსამსახურები, ხელისუფლება სწორედ მათი დახმარებით არჩევდა სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ებრაელ „აქტივისტებს“. ამას ადასტურებს პრეს-კონფერენციის ანგარიშიც, რომელიც „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

მოგვწონს, თუ არ მოგვწონს, ეს ჩვენი ისტორიაა, ჩვენი გუშინდელი დღე. ამიტომ სრული ინფორმაციისათვის ვბეჭდავთ ყველა იმ მასალას, რომელიც კომპანიის დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. ვინც ტექსტებს ყურადღებით წაიკითხავს, იოლად დარწმუნდება,თუ რომელი ტექსტია ავტორის მიერ დაწერილი,რომელი კიდევ სადღაც,რომელიღაც კაბინეტებშია შეთითხნილი ამა თუ იმ ავტორის სახელით, დარწმუნებული ვართ ამ ავტორთაგან ბევრს ეს ტექსტები არ დაუწერიათ ისე როგორც ამ სტრიქონების ავტორს არ დაუწერია ქვემოთმოყვანილი ტექსტი, მაგრამ მათ ხომ ებრაელთა ყველა სფეროს, ყველა თაობის წარმომადგენელთა გვარები სჭიროდათ, ამ გვარებს კი მოხალისეები აწვდიდნენ.

ეგონათ, ამით სძლევდნენ სიონიზმს. ვერ სძლიეს, სიონიზმმა მოინელა ბოლშევიზმი. უფრო მეტიც – ბევრმა იმათგანმა, ვის წერილებსაც ზემოთ გაეცანით, ძვირფასო მკითხველო,სიცოცხლე ისრაელში დაასრულა, მათ შორის იმათაც, ვინც თავისი ხელით წერდა ანტისიონისტურ ოპუსებს.

იქნებ, ამაშიც გამოვლინდა ჩვენი ერის სიბრძნე: ისინი ხარკს უხდიდნენ ბოლშევიზმს (იცოდნენ ამით ბოლშევიზმი ვერაფერს მიაღწევდა – პროცესს უფალი წარმართავდა და არა სპეცსამსახურები), მაგრამ უხმაუროდ, მშვიდად განაგრძობდნენ ფიქრს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე და როდესაც საამისო მომენტი დადგა, თქვეს თავიანთი მთავარი სიტყვა – სიონისტთა რიგებს შეუერთდნენ.

ახლა კი გავეცნოთ 1970 წლის პუბლიკაციებს:

საკადრისი პასუხი აგრესორებს!

სიონიზმი ჩვენი მტერია

მე პირადად ქართველი ერის ინტელიგენციასთან 35 წლის პერიოდი მაკავშირებს. არაერთხელ შევხვედრივარ მის საუცხოო წარმომადგენლებს. ყოველთვის მიგრძვნია მათი სითბო და კეთილი დამოკიდებულება, რჩევა-დარიგება და ზრუნვა.

არც ერთ ებრაელს – ქართველ ებრაელს არ წარმოუდგენია თავისი თავი საქართველოს მიწა-წყლისა და მისი ქართველი ხალხის გარეშე. მართლაც, მე ჩხოროწყუს კოლმეურნის პატარა კარ-მიდამოს მიწა-წყალი მირჩევნია, ამერიკელი მილიონერი ებრაელის ცათამბჯენებს. აქ კლასობრივი თვალსაზრისია. ნებისმიერად აღებული ერის არც ერთი მილიონერი არ დაიცავს იმავე ერის მუშას და გლეხს, მის ინტერესებს; ისრაელის სახელმწიფოს მშრომელს და არაბეთის სახელმწიფოს მშრომელსაც არაფერი არა აქვთ გასაყოფი, ისინი თავიანთი შრომით აპოხიერებენ მიწას. რეაქციულ ხელმძღვანელებს ხელში ჩაუგდიათ ძალაუფლება და აწიოკებენ მშრომელ ებრაელს, მშრომელ არაბს.

დროა გონს მოვიდეს ყველა რეაქციონერი და სიონისტი. მშვიდობას დაამყარებენ მხოლოდ კაცობრიობის პროგრესული ძალები, რომელთაც მეთაურობს დიადი საბჭოთა კავშირი. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს პროგრესული ძალები გაიმარჯვებენ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არავის არა აქვს უფლება განაგოს ქართველი ებრაელის ბედი, გარდა საბჭოთა საქართველოსი. მრავალი საუკუნე ამ მიწა-წყალზე არასოდეს არ ფიქსირებულა რაიმე შევიწროება. ჩვენ ვიზიარებთ ყველა ქართველის ჭირსა და ლხინს. ჩვენ, ქართველ ებრაელებს, ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება ქართველი ადამიანის, ქართული მიწა-წყლის გარეშე. ჩვენ ყოველთვის ვიყავით, ვართ და მომავალშიც ვიქნებით ქართველებთან.

ჩემს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით მე მომიხდა შევხვედროდი აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს. ამ შეხვედრას ესწრებოდა პროფ. ი. მეგრელიშვილი. როდესაც აწგანსვენებულმა აკადემიკოსმა გაიგო, რომ მე ებრაელი ვიყავი, მან დიდი სიამოვნებით მიმიღო, გაიხსენა ქართველი და ებრაელი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობის ამბავი.

ქართველი ებრაელის ოჯახში სუფევს ქართული ადათი, წესი, ზნე-ჩვეულებები და ცხოვრების სხვა მონაცემები. მათი შვილები ქართულ სკოლებში არიან – ძირითადად, ეწაფებიან ქართველი ერის ენას, მის მატერიალურ და სულიერ კულტურას. მხოლოდ ბარბაროსებს, ებრაელების მტრებს შეუძლიათ თქვან, თითქოს საქართველოში ავიწროებენ, სდევნიან ებრაელებს, ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა.

ორიოდე სიტყვით ჩემზე მოგახსენებთ. მე უკვე 62 წლისა ვარ. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ქართველი შევიძინე მეგობრად, ნათესავად. ამჟამად ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრის დოცენტად. ვარ მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1931 წლიდან. მე მიხარია ჩვენი საქართველოს ყოველი მიღწევა და მზად ვარ, როგორც ყოველთვის, დავიცვა ეს ზურმუხტისა და ოქროს მხარე.

სიონიზმი ჩვენი მტერია. ჩვენი სამშობლო მხოლოდ საქართველოა!

ს. ნაციაშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

შეწყდეს სისხლისღვრა!

ადამიანის სისხლი იღვრება ეგვიპტის, იორდანიის, სირიის და ისრაელის საზღვრებზე. დღითიდღე იზრდება ქვრივი ქალებისა და დაობლებული ბავშვების რიცხვი, ინგრევა ქალაქები, დაბები და სოფლები. განადგურება ემუქრება ახლო აღმოსავლეთის კულტურას.

არ შემიძლია ვდუმდე! მე მაღელვებს როგორც ისრაელი ხალხის ბედი, ისე არაბი ხალხის ბედი. სიონისტებმა, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და დასავ- ☞

ლეთ გერმანიის იმპერიალისტური წრეების მხარდაჭერით, ერთმანეთს გადაჰკიდეს ისრაელი და არაბი ხალხები. ისრაელის სამხედრო ხროვა არა ცხრება... ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი აბა ებანი ისე თავისუფლად დააბიჯებს ბონის ქუჩებში, რომ თავი თელ-ავივში ჰგონია. იგი მოწყალეებას — იარაღს თხოულობს ბონელი რევანშისტებისაგან, რათა კიდევ მიიტაცოს არაბული მიწები.

მინდა შევეკითხო ბატონ ებანს: რა გესაქმებათ ევროპის ხალხთა გუშინდელ ჯალათებთან? ვინ მოგცათ უფლება, რომ ასე უსირცხვილოდ ჩირქსა სცხებთ ფაშისტების მიერ მოსპობილი 6 მილიონი ებრაელის ხსოვნას?

მაგონდება ბაბი იარი, ქეცის თხრილი, მაიდანეკისა და ოსვენციმის ღუმელები, და ძარღვებში სისხლი მეყინება: ნუთუ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი დაივიწყეს?

მინდა შევეკითხო ქალბატონ გოლდა მეირს? ვინ მოგცათ იმის იურიდიული და მორალური უფლება, რომ საქვეყნოდ მოითხოვთ საბჭოთა ებრაელების დასახლებას ისრაელში?

მე ქართველი ებრაელი ვარ. ჩემი სამშობლო საქართველოა, ჩემი მშობლიური ენა ქართულია. თავს ნუ იწუხებთ, ქალბატონო გოლდა, არაფერი არ გამოგივათ.

ვაი იმ ადამიანს, ვინც დედის ამაგს დაივიწყებს და წიხლს კრავს მშობელ დედას. ქართველი ებრაელის მშობელი დედა საქართველოა!.

მე კარგად ვიცი, რომ არაბი დედები და ისრაელი დედები ერთნაირად ტირიან და გლოვობენ ომში დაღუპულ შვილებს. ჩემი კეთილი სურვილია ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს სისხლისღვრა.. სადავო საკითხები ომის გზით კი არა, მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას.

აღმავლობასა და აყვავებას ვუსურვებ ისრაელ ხალხს!

აღმავლობასა და აყვავებას ვუსურვებ არაბ ხალხს!

მე ინტერნაციონალისტი ვარ და მიყვარს ჩემი სოციალისტური დიდი სამშობლო — სსრ კავშირი. ჩემი სიცოცხლის მიზანია ადამიანის სიყვარული. ადამიანი სამყაროს სასწაულია და დედამიწის მშვენებაა.

გავუფრთხილდეთ ადამიანის სიცოცხლეს, ადამიანებო!

მ. კაკიტელაშვილი, პოეტი.
11 მარტი, 1970 წ.

სირცხვილი დამპყრობლებს, ზიზღი აგრესორებს!

დუმილი დანაშაული იქნებოდა.

ყოველ დღეს სულ უფრო საგანგაშო ამბები მოაქვს ახლო აღმოსავლეთიდან. ახლა ცხადი ხდება, რომ სუეცთან თუ კარიბის ყურესთან მარტო ორი ქვეყნის პოლიტიკური ან წმინდა ეროვნული ინტერესები არ შეაჯახებია ერთმანეთს, რომ აქ, რეაქციულ ძალთა ბოროტი ზრახვით გაჩნდა ომის საშიში კერა, რომელიც აშკარად დაემუქრა საყოველთაო მშვიდობას.

აბუ-ზაბალის ტრაგედიამ ბევრი რამ მწარედ მოსაგონარი გაახსენა ადამიანებს, შეაძრწუნა და დააფიქრა ისინი. მეც მახსენდება ახლა ორი ფილმი, ან, უფრო სწორედ, ამ ფილმებთან დაკავშირებული ფაქტები.

გერმანული ფილმი „შიშველი მგლებს შორის“ ამაღელვებლად მოგვითხრობდა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში დამალული ებრაელი ბიჭუნას გარდუვალი სიკვდილისაგან გადარჩენის ამბავს. ეს ფილმი პირველად ვნახე მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე 1963 წელს. მეორე დღეს კი პრეს-კონფერენციაზე ამ ფილმის ავტორი — მწერალი და ყოფილი ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი, №2417 ბრუნო აპიცი ფესტივალზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს გვეუბნებოდა:

— წიგნსა და ფილმშიც მოთხრობილი ამბავი სინამდვილეა. მათში არაფერია გამონაგონი, მთავარ გმირთაგან თითქმის აღარავინ დარჩა...

— რა ბედი ეწია ბიჭუნას?

— ბანაკის შემდეგ მის ცხოვრებაზე არაფერი ვიცი, რარიგ კი მწადია, რომ ცოცხალი იყოს!.

და თითქოს მისი ნატვრის ახდომა იყოო, იმავე საღამოს ჟურნალი „სპუტნიკ კინოფესტივალია“ ბეჭდავდა კადრს ფილმიდან „შიშველი მგლებს შორის“ და იქვე, მის გვერდით — პატარა ეჟი ცვაიგის ფოტოსურათს, სწორედ იმ ებრაელი ბიჭუნას ფოტოსურათს, რომლის სიცოცხლის გადასარჩენად იქ, ბუხენვალდში სიკვდილს ერკინებოდნენ ინტერნაციონალური ძმობით შეკავშირებული ადამიანები.

დღემდე შემომრჩა ჟურნალის ეს ნომერი, რომლითაც შევიტყვე, რომ ეჟი ცვაიგი ისრაელში ცხოვრობს და იმ ხანად რომელიღაც ქარხნის მუშა იყო. ახლა იგი, ალბათ, ოცდაათ წელს მიტანებული კაცი იქნება.

არ ვიცი, ამჟამად რას აკეთებს ეჟი ცვაიგი, მაგრამ დღეს, როცა ამერიკელი იმპერიალისტები ვიეტნამის სოფელ სონგმის მოსპობით კვლავ ახსენებენ კაცობრიობას გერნიკისა და ორადურის საზარელ ტრაგედიებს, როცა იმავე ამერიკელთა „ფანტომებით“ ისრაელის ექსტრემისტები სიკვდილს უგზავნიან აბუ-ზაბაალის უდანაშაულო მშრომელებს, როცა პალესტინელ ლტოლვილთა გოდება უდაბნოს ულმობელ მზეს შეჰღაღადებს, არ შეიძლება, რომ ეჟი ცვაიგი სდუმდეს. მინდა დავიჯერო, რომ იგი უმადურობით არ უპასუხებს მისი სიცოცხლისათვის დაღვრილ სისხლს.

„გახსოვდეს!“ — ასე ერქვა ისრაელში გადაღებულ ფილმს, რომელიც ისევ მოსკოვის საერთაშორისო კინო-ფესტივალის ეკრანზე ვნახე 1965-ში. სურათი კარგად გადმოგვცემდა ადამიანის სინდისის ქენჯნას, რომელიც ჰიტლერულ სიკვდილის ბანაკში მხოლოდ იმით გადაურჩა მოსპობას, რომ გერმანელმა ესესელმა სწორედ ვერ ამოიკითხა გვარი და მის ნაცვლად სხვა დახვრიტეს. ფილმში ორგანულად იყო ჩართული ფაშისტი ჯალათის — აიხმანისი იერუსალიმში გასამართლების დოკუმენტური კადრები. მაგრამ გულზე გეხვდებოდა ის დაუმსახურებელი საყვედური თუ ბრალდება, რომელსაც სურათის მთავარი გმირი წარმოსთქვამდა: როცა ჩვენ ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გვხოცავდნენ, ყველა სდუმდაო.

არა! დუმილს არ დაუთრგუნავს ფაშიზმი, დუმილს არ აღუნთია მილიონობით ადამიანის გული, რომლებმაც ჰიტლერიზმის მოსპობას შესწირეს სიცოცხლე, გულგრილობას არ დაუფარავს მრავალ დღეს ანა ფრანკი, გულგრილობას არ გადაურჩენია პატარა ეჟი ცვაიგი!

დუმილი საბედისწერო დანაშაული იქნებოდა მაშინ და არ ვდუმდით. არ ვდუმვართ ახლაც.

ო. სეფიაშვილი, კინომიმომხილველი

ნამდვილ სამშობლოს არ დავთმობთ

ჩემი ცხოვრება არის ცხოვრება ერთი უბრალო ადამიანისა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან და თავისუფალ ხალხთა ძმურ ოჯახში თანასწორუფლებიანი ადგილი მიუჩინა. მამაჩემი ახალციხეში ერთი მეწვრილმანე ვაჭარი იყო. იგი თავისი ცხრა შვილით თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, მაგრამ ამან ვერ უშველა ღარიბ ებრაელთა ოჯახს.

მე და ჩემს და-ძმას, რა თქმა უნდა, მეფის რუსეთის პერიოდში ოცნებაც არ შეგვეძლო სწავლა-განათლების მიღებაზე. პირადად მე მამაჩემმა მესაათესთან დამაყენა შეგირდად, შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯარში გამიწვიეს. 1917 წელს ისტორიულმა გადატრიალებამ მე როსტოვის მაზრის პატარა ქალაქის ალექსანდრ-გრუშკოვსკის ჰოსპიტალში მომისწრო...

მე, რა თქმა უნდა, ჩემს მშობლიურ საქართველოში გამოვეშურე. სწორედ ამ პერიოდში დავამყარე კავშირი ღარიბი ხალხის ნამდვილ მეგობრებთან ბოლშევიკებთან. ვიბრძოდი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ჩემს ცხოვრებაში, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ახალი ხანა დაიწყო. წითელ ჯარში ვიყავი. შემდეგ ტრამვაის კონდუქტორიდან და ვატმანიდან ადგილკომში და პარტიულ ბიუროში ამირჩიეს. განა შემეძლო იმის წარმოდგენა, რომ ღარიბი ებრაელი ბიჭი საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში — ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ვიმუშავებდი ლენინის მეგობართან და თანამებრძოლთან მიხა ცხაკაიასთან ერთად?

ჩემს სამშობლოს სამი შვილი აღვუზარდე, ყველას სწავლა-განათლება მივეცი. უფროსი ვაჟი სამამულო ომის ინვალიდია, ქალიშვილი — კოსმეტოლოგი, მეორე ვაჟი კი მოსკოვში ცხოვრობს, იგი კომპოზიტორია. ახლა შვილიშვილებიც წამომეზარდნენ, ისინიც შრომის და სწავლის გზას დაადგნენ. ასეთია ჩვენი საბჭოთა ცხოვრების სიკეთე.

როცა ისრაელი მესვეურები მთელი მსოფლიოს ებრაელებს თავიანთ ვითომდა „სამოთხეში“ ეპატიჟებიან, მე შემიძლია მხოლოდ ერთი რამ ვუპასუხო: სხვა ქვეყნებისას ვერაფერს მოგახსენებთ, ჩვენთან კი, საბჭოთა კავშირი, ჩვენი ერთადერთი ნამდვილი სამშობლოა, სადაც ჩვენ ვპოვებთ ბედნიერებას.

ისააკ ჟურჩიშვილი, პენსიონერი.

ქვემეხები უნდა დადუმდნენ

არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმაზე, რომ ის, რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, ეწინააღმდეგება ჰუმანიზმის პრინციპებს, უხეშად არღვევს იმას, რასაც კაცობრიობის მომავალი და შენება ჰქვია — ისრაელის სამხედრო ხროვა კვლავ ბომბავს მშვიდობიან მოსახლეობას.

ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ფოტოსურათებიდან შემოგვცქერიან დასახიჩრებული და გაძვალტყავებული, ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები — ბავშვები, ქალები. უტყუარია, რომ ეს მომენტი დიდ შინაგან პროტესტს დაბადებს ყოველი პატიოსანი მოქალაქის არსებაში, რომლისთვისაც ძვირფასია ადამიანი.

მაგრამ ამ შემაზრზენ გრძნობასთან ერთად არსებობს მეორე გრძნობაც — იუმორის გრძნობა. იგი ღიმილის მომგვრელია ჩვენთვის. თურმე ივივე ისრაელის სამხედრო ხროვა ზრუნავს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ „უსამშობლოოდ დარჩენილ, საბრალო ებრაელებზე.“ ისიც კი განუცხადებიათ, მათი ისრაელში დაბრუნება უნდა მოვახერხოთო.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს შორის ასეთი განცხადება იუმორის, ღიმილის გარდა არაფერს გამოიწვევს. რადგან უცებ შენს თვალწინ გაირბენს ყველაფერი, თვალწინ დაგიდგება შენი საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრება, ადამიანებთან ურთიერთობა, წარსული, მეგობრები, კოლეგები.

მე ამ დროს თვალწინ მიდგას თალხით მოსილი დეიდა, რომელმაც ორი ვაჟკაცი გაგზავნა სამამულო ომის წყვდიადში და იმ დღიდან აღარც ერთი აღარ უნახავს. სიკვდილამდე ამაოდ გასცქეროდა იგი ჭიშკარს, მისმა ორივე შვილმა საბჭოთა სამშობლოსათვის, ისინი ქართველებთან და რუსებთან, სომხებთან და უკრაინელებთან ერთად იბრძოდნენ.

ჩემს თვალწინ წარმოისახება ისრაელის სახელმწიფოს ორი ხალხი — ერთი, რომელიც ანგრევს, და მეორე, რომელიც აშენებს, ერთი, რომელიც არაფერს ეპუება თავისი რეაქციული ზრახვების განსახორციელებლად და მეორე, რომელიც თავისი კომუნისტური პარტიის მეთაურობით მშვიდობისათვის იბრძვის. სწორედ ამ მშვიდობისმოსურნე ისრაელმა გააკეთა უკეთილშობილესი საქმე — ებრაულ ენაზე გამოსცა უდიდესი საუნჯე „ვეფხისტყაოსანი.“ იგი მთელი ქართველი ხალხის მეგობარია, ჩვენთან ერთად ებრძვის თავისი ქვეყნის რეაქციას.

სიონიზმი მშვიდობის მტერია. კატასტროფამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა, კატასტროფამდე, რომელიც არ უნდა მოხდეს.

მე მჯერა, რომ ისრაელის მშრომელები, პატიოსანი ადამიანები აიცილებენ ამ საფრთხეს. ამისათვის საჭიროა, რომ ქვემეხები დადუმდნენ!

გ. ბათიაშვილი.
საქართველოს თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორი.
12 მარტი, 1970 წ.

აღიკვეთოს სიონისტთა ბოროტებანი

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...

თელ-ავივის რეაქციული და ექსტრემისტული წრეების უკანასკნელი ბარბაროსული მოქმედება საყოველთაო აღშფოთებას იწვევს.

მე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გადაჭრით, ვგმობ ისრაელ აგრესორთა და მათ დამქაშ იმპერიალისტთა აღვირახსნილ პოლიტიკას. ისრაელმა მმართველმა წრეებმა აგრესია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კანონად გამოაცხადეს. 1969 წლის აპრილში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გ. მეირმა ამერიკელ ჟურნალისტ სტიუარტ ოლსობთან საუბარში განაცხადა: „მე თქვენთან გულახდილი ვიქნები. მე არ მინდა, რომ ებრაელი ხალხი რბილი ხასიათისა, ლიბერალური, ანტიკოლონიალისტური და ანტიმილიტარისტული იყოს. ასეთ შემთხვევაში ის იქნებოდა მკვდარი ხალხი.“ კითხულობ ამ სიტყვებს, ისმენ უკანასკნელ ცნობებს ისრაელის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, და გახსენდება ფაშისტური გერმანიის მიერ შობილი ურჩხულის ჰიტლერის ურდოს ჩადენილი საშინელი დანაშაულებანი. დიდ სამამულო ომში დაიღუპა 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი, მათ შორის 6 მილიონი ებრაელი. ყოველივე ეს მახსენდება, როდესაც გაზეთები იტყობინებიან ისრაელის სამხედრო ხროვის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ. ნუ დაავიწყდებათ ისრაელ ექსტრემისტებს ჰიტლერელ სამხედრო დამნაშავეთა ბედი.

აღშფოთებას იწვევს გ. მეირის ცილისწამება ჩვენს საბჭოთა სინამდვილეზე, თითქოს სსრ კავშირში ადგილი ჰქონდეს ებრაელ მოქალაქეთა „შევიწროებას“. რა უთქვამს, რა მოუჩმახავს! რა სისულელეა! მე დავიბადე და გავიზარდე უბრალო საბჭოთა ოჯახში. მამა იყო მოსამსახურე, დედა მეოჯახე. გავხდი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. და ეს მარტო ერთეული მაგალითი როდია.

ამჟამად, როდესაც სიონისტ ავანტიურისტთა პროვოკაციების წინააღმდეგ პროტესტის ხმას ვუერთებ ჩემს ხმას, მე ვამბობ: ამაოა თქვენი გოდება, ქალბატონო გოლდა მეირ! არ არის ძალა, რომელსაც შეეძლო შეარყიოს ჩვენი სიყვარული ჩვენი ნამდვილი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის მიმართ.

ჩემი წერილი მინდა დავამთავრო ერთი რეზოლუციით, რომელიც მიიღო ქ. თბილისის მშრომელ ებრაელთა მიტინგმა 1927 წლის 5 ნოემბერს: „ქართველ ებრაელთა მშრომელი მასა მთელი ქვეყნის წინაშე ხმამაღლა აცხადებს, რომ ქართველმა ებრაელმა მოსახლეობამ სხვა ჩაგრულ მცირე ეროვნებებთან ერთად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიიღო შესაძლებლობა მშვიდობიანი მშენებლობისა, მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისა. ჩვენ საზეიმო ფიცს ვაძლევთ საბჭოთა ხელისუფლებას თავგამოდებით დავიცვათ ოქტომბრის მიერ მოპოვებული მუშათა კლასის სამშობლო“.

ქართველი ებრაელობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ამ ფიცის ერთგული.

ა. ციციაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩემი ღრმა რწმენით

ისრაელის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა თავის ყოველგვარი ფორმით სამარცხვინო მოვლენაა მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების თვალში. ისრაელის აგრესორების ყოველი ნაბიჯი შავ ლაქად აღინიშნება კაცობრიობის ისტორიის ფურცლებზე. ისინი ღვთაებრივ სამოსელში გახვეულნი უსირცხვილოდ იყენებენ მშვიდობიანი ადამიანების მასობრივი მოსპობის საშუალებებს. ისრაელის აგრესორები მე-20 საუკუნის ჯვაროსნები არიან, რომლებიც

აღდგნენ მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

ეცნობი მასალებს ისრაელი ოკუპანტების შავბნელი მოქმედების შესახებ და უჩვეულო განწყობილება გეუფლება. მე, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეს, მაგონდება ფრონტის საშინელი სურათები და ზიზღი მათდამი უფრო მეტად ძლიერდება იმის გამო, რომ ისინი მეგობრობას უცხადებენ და დახმარებას იღებენ იმ სახელმწიფოსაგან, რომლის მეთაურებიც ფაშისტური პოლიტიკის თაყვანისმცემლები არიან.

ისრაელი სიონისტები ხალხთა შორის მეგობრობის, სიყვარულისა და პატივისცემის ჩანერგვის ნაცვლად მტრობას თესავენ. ამასთან, ცდილობენ ოკეანესგაღმელი მაგნატების სასიამოვნოდ ამ ომში ჩააბან სხვა ქვეყნების მშვიდობიანი მოსახლეობაც. მაგრამ მათი ცდა უნაყოფოა. მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობას, მათ შორის საბჭოთა ხალხს არასოდეს არ დაავიწყდება ომის მწარე გაკვეთილები. ჩემი ღრმა რწმენით ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დაცვა, ისრაელის სამხედრო ხროვის ალაგმვა გადაუდებელი საქმეა. ხალხები სწყევლიან და მომავალშიც დასწყევლიან სიონისტებს, რომლებიც იმპერიალიზმის იარაღს წარმოადგენენ.

ი. თოფჩიშვილი,
საქართველოს სსრ სკოლის
დამსახურებული მასწავლებელი,
ქ. ქუთაისის სახალხო განათლების
განყოფილების პედაგოგიური
კაბინეტის გამგე

ხელები შორს ჩვენგან

ვცხოვრობ ქუჩაზე, რომელიც გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ერნს ტელმანის სახელს ატარებს. ექვსი და-ძმანი ვართ. მამა ადრე გარდაგვეცვალა, დედა კი 65 წლისაა. ყველას საკუთარი კერა გვაქვს, რაც კეთილსინდისიერი, პატიოსანი შრომით მოვიპოვეთ. ვზრდით შვილებს. ჩემს ქალიშვილს, ისე როგორც მრავალ მის თანატოლს, ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ მშვიდად, უშიშრად იცხოვროს.

მე 38 წლისა ვარ. ჩემი მეუღლე მარი 17 წელია ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მუშაობს ლაბორანტად. მეც ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საავტომობილო ქარხანას მივაშურე. ქარხანა ჩემთვის მეორე ოჯახად გადაიქცა.

ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ ვშრომობთ ქართველი, რუსი, უკრაინელი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მე, მაგალითად, რამდენიმე ახალბედას შევასწავლე გამმართველის პროფესია და მათგან ზოგიერთი ახლა ჩემს გვერდით მუშაობს. თითოეული და ყველა ერთად ძალასა და ენერგიას არ ვიშურებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ვამრავლოთ დოვლათი და ბარაქა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

და აი, თელ-ავიველი რასისტი სიონისტები ახალ „სამშობლოს“ გვთავაზობენ. მე კომუნისტი ვარ და ერთგულად ვემსახურები დიად ინტერნაციონალურ მიზანს — კომუნიზმისათვის ბრძოლას, ასეთივე მიზანი აქვთ ჩემს თანამოსაქმეებს ქართველ ებრაელებს. ისრაელის მესვეურების მიერ შემოთავაზებული „სამშობლო“ კი ებრაელმა მილიტარისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხარდაჭერით საომარ იარაღად გადააქციეს. და ამ „სამშობლოში“ გვეპატიჟებიან ჩვენ, რომ მათი ყაჩაღური ბანდების საზარბაზნე ხორცი გავხდეთ.

ვერა, ვერავითარი სიონისტური საკენკი ვერ შეარყევს ჩვენს მრწამსს. ჩვენ, ებრაელ საბჭოთა მოქალაქეებს, გვაქვს ერთადერთი სამშობლო — სსრ კავშირი, რომელიც ჩვენი კეთილდღეობისათვის ზრუნავს.

ისევე, როგორც მთელი საბჭოთ ხალხი, ჩვენ, საბჭოთა ებრაელები, ისრაელი მილიტარისტების პასუხად მტკიცედ ვაცხადებთ: ხელები შორს ჩვენგან, რასისტო ვაუბატონო!

რ. მაწონაშვილი, ქუთაისის
ს. ორჯონიკიძის სახელობის
საავტომობილო ქარხნის
გამმართველი.

სინდისის კარნახით

საშინლად მტკივა გული, როცა კვლავ მესმის, რომ ისრაელის აგრესორები მათ მიერ ოკუპირებულ არაბულ მიწაზე ფაშისტი მხეცების მსგავსად ხოცავენ მშვიდობიან ადამიანებს — ქალებს, ბავშვებს, სპობენ მთელს სოფლებს, ძარცვავენ არაბული ქვეყნების სიმდიდრეს.

ამ საშინელებების ჩამდენი სიონიზმია. სიონისტებმა ისრაელის საერთაშორისო იმპერიალიზმის იარაღად გადააქციეს და გააფთრებულ შოვინისტურ პროპაგანდას ეწევიან, რომ თავიანთი ყაჩაღური ბანდები ახალ-ახალი საზარბაზნე ხორცით შეავსონ.

აღმაშფოთებელია, რომ თელ-ავიველი ბატონები ათასგვარი ხრიკებით ცდილობენ დაარწმუნონ სსრ კავშირში მცხოვრები ებრაელები, რომ მათი სამშობლო ქვეყანა თითქოს ისრაელია.

ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, თუ რა პროვოკაციულ მიზანს ისახავს ისრაელის მესვეურთა მოწოდებანი ებრაელის საბჭოთა კავშირიდან ე.წ. „დაბრუნების“ შესახებ. დაე იცოდნენ ყველა ჯურის სიონისტებმა და მათმა მფარველებმა, რომ ჩვენ გვიყვარს ჩვენი ერთადერთი სამშობლო — საბჭოთა კავშირი, მასთან არის დაკავშირებული ჩვენი შვილების, შვილიშვილების, ახალი თაობის აწყმო და მომავალი.

სიონისტმა „კეთილმოსურნეებმა“, რომლებიც საზარბაზნე ხორცისათვის გვეპატიჟებიან „სამშობლოში“, უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გაგვიხსნა შემოქმედებითი შრომის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების კარი.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი სოციალისტური სამშობლო — საბჭოთა კავშირი. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ მისი შემდგომი ძლიერებისთვის.

ი. იაკობაშვილი, ექიმი, ქუთაისის
საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

თქვენი „სამოთხე“ ჯოჯოხეთია

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში და გულისწყრომას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ ისრაელის მესვეურთა მიზეზით ადამიანთა სისხლი იღვრება. მხოლოდ და მხოლოდ ქვის გულის მქონეს არ შეაძრწუნებს ფაქტი, რაც ისრაელის მეკობრეებმა ა.წ. 12 თებერვალს ჩაიდინეს კაიროდან 15 მილის მოშორებით, როცა აბუზააბალის მეტალურგიული ქარხანა დაბომბეს. რამდენი ბავშვი დარჩა ობლად, რამდენი ოჯახი დარჩა უმარჩენლოდ!

ერთი დანაშაული არ უპატიებია ხალხს გოლდა მეირისთვის და მეორეს წაეპოტინა. მას სურს ისრაელში „დაბრუნოს“ ებრაელი საბჭოთა მოქალაქეები. ნეტავ სად ეპატიჟება ამდენ ხალხს თვითონ სხვისი ნასუფრალით გამოსული?

ჩვენ ვამბობთ: ამაოდ გვიხმობს გოლდა მეირი „გამყედენში“ (სამოთხეში). ჩვენ მანდ არა გევსაქმება რა. ვინც გაბრიყვდა და სიონისტთა კალთას „შეაფარა“ თავი, ისიც ბევრს იცემს თავში და ახლა გვიან არის, მეტის მოტყუებასა და გაბეცებას ვეღარ შეძლებთ, ბატონებო! ანდა ვინ წამოეგება თქვენს ანკესზე?

ა. ელიშაყოვი,
ცხინვალის მექანიკური ქარხნის მუშა,
კომუნისტური შრომის დამკვრელი,
სამხრეთ ოსეთის საოლქო
საბჭოს დეპუტატი.

ლ. შათაშვილი, ცხინვალის
№4 სკოლის მასწავლებელი.

ხ. მამისთვალოვი, ცხინვალის
ხე-ტყის კომბინატის მეპარკეტე,
კომუნისტური შრომის დამკვრელი

ა. ბინიაშვილი, ჟურნალისტი

იურისტთა მრისხანე პროტესტი

საბჭოთა იურისტების ასოციაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელის მხედრიონის დანაშაულებრივ მოქმედებას. დოკუმენტში ნაზგასმულია, რომ ისრაელი თავისი აგრესიული მოქმედებით არღვევს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ჟენევის კონვენციას ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ და სხვა საერთაშორისო კანონებს.

ისრაელის მმართველმა წრეებმა და მათმა ოკეანესგაღმელმა მფარველებმა, ნათქვამია განცხადებაში, პასუხი უნდა აგონ. მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა აიძულოს ისრაელი, რომ ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო სამართალს, ხალხთა ნებას.

14 მარტი, 1970 წ.

საკადრისი პასუხი — სიონისტ პროვოკატორებს!

პრეს-კონფერენცია თბილისში

ისრაელის ავანტურისტული მმართველი წრეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სიონისტური იდეოლოგიით, აწარმოებენ აგრესიულ ომს არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. ისრაელის მხედრიონმა საბოლოოდ დაკარგა რეალობის გრძნობა და გონიერება და აშშ-ს იმპერიალისტთა საამებლად ახლო აღმოსავლეთში ქმნის საერთაშორისო დაძაბულობის დიდ კერას, საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

ოფიციალურმა თელ-ავივმა პროვოკაციული აურზაური ატეხა სსრ კავშირში „ებრაელთა მდგომარეობის“ გამო და თავს ნება მისცა განეცხადებინა თითქოს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ებრაელები ვალდებულნი იყვნენ გადასახლდნენ ისრაელში, რადგან იგი მათი ნამდვილი სამშობლოაო. საერთაშორისო სიონიზმს სურს ებრაელები გადააქციოს საზარბაზნე ხორცად, რათა განახორციელოს ნილოსიდან ევფრატამდე „დიდი ისრაელის“ შექმნის ექსპანსიონისტური გეგმები.

გულისწყრომა და პროტესტი ისრაელის მმართველთა დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, მათი ღვარძლიანი ანტისაბჭოური კამპანიის, ებრაული ეროვნების სსრ კავშირის მოქალაქეთათვის ყალბი „ზრუნვის“ წინააღმდეგ გამოთქვეს 17 მარტს თბილისში გამართული პრესკონფერენციის მონაწილეებმა. პრესკონფერენცია ქართველი ებრაელობის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თხოვნით მოიწვია რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირმა.

კონფერენციაზე იყვნენ რესპუბლიკური გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის, დეპეშათა სააგენტოს ჟურნალისტები, აგრეთვე პრესის ცენტრალური ორგანოების საკუთარი კორესპონდენტები. პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. მჭედლიშვილმა.**

— ახლო აღმოსავლეთის ამბებს, თქვა მან, დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა. ისრაელის ლიდერები არაფერს არ ერიდებიან, რათა განახორციელონ თავიანთი მზაკვრული, მშვიდობისათვის საშიში გეგმები. მათი ავანტიურისტული კურსი ეწინააღმდეგება თვით ებრაელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა, მათ შორის ებრაელთა მრავალრიცხოვანი წერილები და განცხადებები მრისხანე პასუხს აძლევენ ისრაელ აგრესორებს საერთაშორისო სიონისტურ წრეებს, რომლებიც ახორციელებენ იმპერიალიზმის ბინძურ განზრახვებს. საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ პროვოკატორთა ალაგმვას, მთელი დაპყრობილი არაბული მიწების უთუოდ განთავისუფლებას. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას.

ამხ. მჭედლიშვილმა ჟურნალისტებს გააცნო ქართველი ებრაელობის წარმომადგენლები — საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერების, კულტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებიც იყვნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში, სადაც პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციაზე მის მონაწილეთა სახელით ჟურნალისტმა **დ. მელუხამ** წაიკითხა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი ისრაელის სახელმწიფოს სამხედრო ზედაფენისა და მმართველი ექსტრემისტების დანაშაულთა წინააღმდეგ.

შემდეგ პრესკონფერენციაზე შეკრებილებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებზე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა **მ. ბინიაშვილმა** აღნიშნა, რომ საერთაშორისო სიონიზმის მეთაურებისა და მათ სამსახურში მყოფი თელავიველი მმართველების მიერ გაჩაღებული აღვირახსნილი პროვოკაციული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიზნად ისახავს ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთიანი და ერთსულოვანი ოჯახის გათიშვას. სიონისტები გაჰყვირიან ანტისემიტიზმზე, რომელიც თითქოს საბჭოთა კავშირში იყოს. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მოსპობილია ანტისემიტიზმის როგორც იდეოლოგიური, ისე სოციალურ-ეკონომიური ბაზა. ჩვენში გაბატონებული იდეოლოგიაა მარქსიზმ-ლენინიზმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ანტისემიტიზმი კი მიგვაჩნია ეროვნული რასობრივი უთანასწორობის, დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად და კანონით იდევნება.

სიონისტი პროვოკატორები მოუწოდებენ საბჭოთა ებრაელებს წავიდნენ ისრაელში, თავიანთი ნამდვილი და ერთადერთი სამშობლო — საბჭოთა კავშირი გაცვალონ კაპიტალისტურ „სამოთხეზე“. მაგრამ მათ ზრახვებს ახდენა არ უწერიათ. სსრ კავშირში მცხოვრებ ებრაული ეროვნების პირთა ცხოვრების, კულტურის, ენის განვითარების მთელი ისტორია, შემოქმედებითი საქმიანობა დაკავშირებულია საბჭოთა ქვეყანასთან, საბჭოთა ცხოვრების წესთან, სოციალისტურ იდეოლოგიასთან.

დიდმა ოქტომბერმა ბოლო მოუღო ეროვნულ ჩაგვრას ჩვენს ქვეყანაში. ისევე როგორც სხვა ეროვნებათა საბჭოთა ადამიანები, ებრაელებიც სარგებლობენ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ყველა სიკეთით. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბევრი ფაქტი. მაგალითად, ქართველ ებრაელთა შორის ათასობით კაცს აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. ჩვენ 9 მეცნიერებათა დოქტორი და 80 მეცნიერებათა კანდიდატი გვყავს. 68 ქართველი ებრაელი არჩეულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვას გრძნობს ყოველი ებრაელის ოჯახი. მე , მუშის შვილი, მეცნიერების მუშაკი გავხდი, ჩემი ცოლი უმაღლესი განათლების პედაგოგია, ქალიშვილმა წარჩინებით დაამთავრა ხარკოვის კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასი, მისმა ქმარმა კი — ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე დატოვეს კათედრაზე, მეორე ქალიშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია.

ეს და სხვა მაგალითები მოწმობენ, თუ რა ფასი აქვს სიონისტურ პროპაგანდას საბჭოთა კავშირის ებრაელთა ვითომდა უუფლებო მდგომარეობის შესახებ.

რასისტულმა სიონისტურმა იდეოლოგიამ, — განაცხადა საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა, ონის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარმა ქირურგმა, დიდი სამამულო ომის მონაწილემ **მ. ჩაჩაშვილმა,** — ისრაელი აშშ-ს იმპერიალისტთა მხარდაჭერით გადააქცია არაბი ხალხების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი აგრესიის იარაღად, ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის გაძლიერების კერად, მე ვიცი, თუ რა არის ომი და

☞

რა უბედურება მოაქვს ადამიანისათვის. ისრაელის მხედრიონი ხოცავს არაბული ქვეყნების მშვიდობიან მცხოვრებლებს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. მაგრამ, დაე ახსოვდეთ თელავიველ ბატონებს ისტორიის გაკვეთილები. ისინი პასუხს აგებენ თავიანთი დანაშაულისათვის.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ დგას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე. ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრულ ღონისძიებებს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

გოლდა მეირი ისრაელში გვეპატიჟება და ყოველგვარ სიკეთეს გვპირდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სიონისტებს მხოლოდ მილიტარისტული მიზნებისათვის ვჭირდებით.

ჩვენი ნამდვილი სამშობლო საბჭოთა საქართველოა, ჩვენ აქ საუკუნეებია ვცხოვრობთ, ქართველებისა და სხვა ეროვნებათა ადამიანების მხარდამხარ ვშრომობთ, ჩვენ გვაკავშირებს საერთო ინტერესები, ურღვევი მეგობრობა.

მე საქართველოში მივიღე უმაღლესი სამედიცინო განათლება. ექიმად ვმსახურობდი საბჭოთა არმიაში რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, ქართველებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, უზბეკებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად. ხალხთა ურღვევი ძმობა და მეგობრობა მტერზე გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სამშობლომ დამაჯილდოვა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით, მედლით „მამაკაცობისათვის,“ ომის შემდგომ წლებში დამაჯილდოვეს „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მომანიჭეს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. ჩემი ბედი ბევრი ქართველი ებრაელის ბედია, რომლებსაც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სამშობლოს საკეთილდღეოდ შემოქმედებითი შრომის ფართო გზა გადაუშალეს.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ს. შათაშვილი** ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გაიკაფა გზა მეცნიერებაში. იგი დიდი სიყვარულით იგონებს თავის მასწავლებლებს – აკადემიკოსებს ნ. მუსხელიშვილს, ი. ვეკუას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს ვ. კუპრაძეს, ე. ხარაძეს და სხვებს.

ასეთი გულწრფელი მხარდაჭერა, მუდმივი ყურადღება, მზრუნველობა მთელს ჩვენს ცხოვრებასა და საქმიანობაში გვათბობს და ყველა პირობას გვიქმნის ჩვენი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფიერი გამოვლინებისა და განვითარებისათვის.

ამის შემდეგ არ შეიძლება ითქვას სიონისტთა ღვარძლიან მონაჩმახზე, რომლებიც ცდილობენ ისე წარმოსახონ საქმე თითქოს საბჭოთა კავშირში ებრაელებს დევნიდნენ და ავიწროებდნენ.

ჩვენ, ქართველი ებრაელები, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრულ და ძმურ ოჯახში ვართ თავისუფალი, თანასწორუფლებიანი მოქალაქეები, ვხედავთ, თუ რა შესანიშნავი შედეგები მოგვიტანა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **რ. ელიგულაშვილმა** კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენა, თუ როგორ გარდაქმნა საბჭოთა ხელისუფლებამ ებრაული ეროვნების მშრომელთა ცხოვრება. დღეს პრესკონფერენციაზე დამსწრე ქართველი ებრაელების წარმომადგენლები – თქვა რ. ელიგულაშვილმა, – შესანიშნავად განასახიერებენ იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო.

ჩვენ ისრაელის ხალხის მტრები როდი ვართ. საბჭოთა კავშირმა ერთ-ერთმა პირველმა ცნო ისრაელის სახელმწიფო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ებრაელ ხალხს კი არ სჭირდება ომი, არამედ ისრაელის მმართველებსა და მათ ოკეანისგაღმელ მფარველებს, რომლებიც ათასობით გაუბედურებული არაბის ტანჯვით, ცრემლითა და მწუხარებით მილიონებს იჯიბავენ. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ და ვგმობთ საერთაშორისო სიონიზმს, რომელიც იმპერიალისტთა ხელში ახლა გადაიქცა დემოკრატიის, სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად.

სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს **რ. გორელაშვილს.**

– მე დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, – თქვა მან. – ჩემს აღზრდაში და როგორც პიანისტის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს თვალსაჩინო ქართველმა მუსიკოსებმა და პედაგოგებმა ანასტასია ვირსალაძემ, ანა თულაშვილმა, შალვა მშველიძემ, ვანო გოკიელმა, შალვა თაქთაქიშვილმა, ლევან ფალიაშვილმა და სხვებმა. ჩემი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ კულტურასთან.

ისრაელმა ხელმძღვანელებმა, თქვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ა. ციციაშვილმა,** აგრესია თავიანთი სახელმწიფო პოლიტიკის კანონად გამოაცხადეს. „გულახდილად მოგახსენებთ, – განუცხადა გ. მეირმა ამერიკელ ჟურნალისტს სტიუარტ ოლსოპს. – არ მინდა, რომ ებრაელი ერი გულჩვილი, ლიბერალი, ანტიკოლონიალისტი და ანტიმილიტარისტი იყოს, რადგან ეს დაღუპავს მას.“ გ. მეირი მოითხოვს, რომ ისრაელი დასახლებული იყოს მხოლოდ ღვთისაგან „რჩეული“ ებრაელი ხალხით. ერთ-ერთმა მისმა თანამებრძოლმა განმარტა, ისრაელში არაბებს მომავალში მხოლოდ „შეშის მჭრელებისა და თულუხჩების“ როლი დაეკისრებათო.“

კითხულობ ისრაელს ხელმძღვანელთა და სიონიზმის ლიდერთა ამ გამონათქვამებს და უნებურად გაგონდება ჰიტლერელთა კაცთმოძულეობრივი განცხადებანი. კარგი იქნება, თუ თელავივი არ დაივიწყებს ფაშისტების ბედს!

ისრაელი რასისტები, – განაცხადა ლაგოდეხის რაიონის სოფელ წითელგორის კოლმეურნეობის ბრიგადირმა **ა. პაპისმედოვმა,** გვთავაზობენ, რომ წავიდეთ საქართველოდან, რომელიც ჩვენი ნამდვილი სამშობლოა.

ჩვენს კოლმეურნეობაში მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. აქ დიდ პატივს სცემენ მიწის მუშას იმის მიუხედავად, ებარელია, ქართველი თუ რუსი. ამ დარბაზშია ჩემი თანასოფელი ისააკ მანაშეროვი. მისი შრომითი გზა ტიპიურია საბჭოთა კოლმეურნე გლეხობისათვის. კოლმეურნეობაში მუშაობა მან მძღოლად დაიწყო, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩვენს სოფელში ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობს.

სიტყვა აიღო მწერალმა **გ.ხუხაშვილმა.** საქართველო, თქვა მან, ჩემთვის ყოველთვის შემოქმედებითი შთაგონების წყარო იყო. მდიდარი და თავისთავად ქართული კულტურა სხვადასხვა ხალხისა და თაობის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ცხოველმყოფელი წყარო იყო. ჩემი ნაწარმოებების სახეებს საქართველოს მრავალფეროვანი ცხოვრების საფუძველზე ვქმნი. მე საბჭოთა მწერალი ვარ. ვერ წარმომიდგენია ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩემი სამშობლოს – საქართველოს გარეშე.

სიონისტებმა აურზაური ატეხეს სსრ კავშირში ე.წ. „ებრაული საკითხის“ გარშემო, ისინი იმდენად გათავხედნენ, რომ საბჭოთა ებრაელების სახელით ლაპარაკობენ. მაგრამ მთელი ეს ღვარძლიანი პროვოკაციული აურზაური სამარცხვინოდ იფუშება, ჩვენი სამშობლოა ეს მიწა, სადაც უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ და თავისუფლად ვშრომობთ კომუნიზმის ასაშენებლად.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარმა კონსტრუქტირმა **ს. ბათიაშვილმა** ილაპარაკა თავის შრომით გზაზე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საწარმოს რიგით კონსტრუქტორად, შემდეგ დააწინაურეს მთავარი კონსტრუქტორის პასუხსაგებ პოსტზე. ახლა გადავხედოთ მისი ოჯახის წევრებს. მეუღლემ უმაღლესი განათლება მიიღო და 20 წელზე მეტია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, ვაჟი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტია, ქალიშვილი ფრიადზე სწავლობს სკოლაში.

– საბჭოთა საზოგადოებაში ადამიანებს აფასებენ შრომითა და ცოდნით. ჩვენშიო არ არის ეროვნული ჩაგვრა და რასობრივი დისკრიმინაცია – განაცხადა ამხ. ბათიაშვილმა.

პრესკონფერენციის დახურვისას დ. მჭედლიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისმა მონაწილეებმა საკადრისი პასუხი გასცეს სიონისტებს.

პრეს-კონფერენციის მონაწილეთა განცხადება

დღეს, როცა ისრაელის მხედრიონი, რომელსაც აქეზებენ დასავლეთის მილიტარისტული წრეების და უწინარეს ყოვლისა აშშ-ს იმპერიალისტები, განაგრძობს აგრესიულ ომს არაბეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგ, როცა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას, ჩვენ, ქართველ ებრაელთა წარმომადგენლები, შევიკრიბენით აქ რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან და გადაჭრით ვგმობთ სიონისტ პროვოკატორებს.

ომი, რომელიც ისრაელმა გააჩაღა, იმპერიალისტური, აგრესიულია. მას საერთო არაფერი აქვს რა ებრაელი ხალხის ფართო მასების სასიცოცხლო ინტერესებთან. ამიტომ მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად გულისწყრომით ვგმობთ ისრაელის მმართველი ზედა ფენის ავანტიურისტულ პოლიტიკას. საერთაშორისო სიონიზმის ლიდერები, ისრაელის სახელმწიფოს მმართველები მოგვიწოდებენ დავსახლდეთ „წმიდათ წმიდა აღთქმულ“ ქვეყანაში. ისინი თავს ნებას აძლევენ ილაპარაკონ საბჭოთა ებრაელების სახელით. მაგრამ რა „დაბრუნებაზე“ გაჰყვირიან ეს ვაი-დამცველები?! ჩვენი სამშობლო ეს ის მიწაა, სადაც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, სადაც ჩვენ ახლა თავისუფლად ვცხოვრობთ და ვშრომობთ დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქართველი ებრაელები ჩვენს რესპუბლიკაში სარგებლობენ საერთო უფლებებითა და სიკეთით. საბჭოთა სახელმწიფომ გაუხსნა მათ შემოქმედებისა და ნაყოფიერი შრომის ფართო გზა. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შორის 68 ქართველი ებრაელია. ჩვენს რიგებში გაიზარდა 9 დოქტორი და 80 კანდიდატი.

ჩვენ დემაგოგიურ და პროვოკაციულ განცხადებებად მიგვაჩნია სიონიზმის მეთაურებისა და ისრაელის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა განცხადებანი – თითქოს ჩვენს ქვეყანაში ავიწროებდნენ ებრაელებს, თითქოს მათ სურდეთ გადასახლდნენ ისრაელში.

ჩვენ კატეგორიულად და უაპელაციოდ ვაცხადებთ: არა, თელავიველიო ბატონებო, ამაოა ყველა თქვენი ცდა მოგვწყვიტოთ ჩვენ მშობლიურ მიწა-წყალს, გადაგვაქციოთ საზარბაზნე ხორცად, თქვენი ავანტურისტული პოლიტიკის განხორციელების ბრმა იარაღად!

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აგრესიული ხრიკები და ზრახვები თანამედროვე პირობებში განწირულია დასაღუპავად, რომ მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საქმე გაიმარჯვებს!

ე. აჯამელაშვილი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატი, **ი. აჯიაშვილი**, ლილოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის მხატვარი, **ს. ბათიაშვილი**, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი, **მ. ბინიაშვილი**, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, **რ. ბუზიაშვილი**, ქ. თბილისის კალინინის რაიონის სანეპიდსადგურის ექიმი, **ი. გაგულაშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, **რ. გორელაშვილი**, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროსი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, **მ. დავითაშვილი**, ჟურნალისტი, რესპუბლიკური გაზეთის „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **რ. ელიგულაშვილი**, საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ი. ელიაშვილი**, „თბილფეხსაცმელვაჭრობის“ დირექტორი, **ხ. მამისთვალოვი**, ცხინვალის ხისდამუშავებელი კომბინატის მუშა, **დ. მელუხა,** ჟურნალისტი, **ი. მიხელაშვილი**, სამტრედიის რაიონის კულაშის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **მ. რიჟინაშვილი**, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, **ა. პაპისმედოვი**, ლაგოდეხის რაიონის სოფელ წითელგორის კოლმეურნეობის ბრიგადირი, **ო. სეფიაშვილი**, კინოკრიტიკოსი, **ფ. ფიჩხაძე**, „საქვაჭრობის“ საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, თადარიგის მაიორი, ს. შათაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ა. ციციაშვილი**, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, **ი. წიწუაშვილი**, სახბანკის ქარელის განყოფილების მმართველი, **მ. ჩაჩაშვილი**, ონის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, **ბ. ხუხაშვილი**, მწერალი, **მ. ჯანაშვილი,** მხატვარი (საქდესი).

19 მარტი, 1970 წ.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ა,

ტელეფონები: 299.90.96

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003